ტელიწადი მესამე   ფასი 7 კაპ.   ოთხშაბათი, 8 თებერვალი, 1917 წ.

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8 მ., 25×2 ღირს 10 მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ცალკე 10 კაპ.

№ 30   ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი   № 30

გაზეთი
„საქართველო“
ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:
მთელის წლით—15 მ., 1/2 წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.
წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. დ 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).
კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.
1 თებერვლიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქარ.“ ეღირება 13 მ.—75 კ.
ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.
რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)
ოთხშაბათს, 8 თებერვალს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
მშვენიერ ელენეს მაძიებელნი.
წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.
სტუმრები საზოგადო წესით. ◆ დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე.
(1—561—1)

შაბათს, 11 თებერვალს 1917 წ.
ზუბალაშვილის სახალხო სახლში
მოხეტიალე მუსიკოსი
ილიკო ქურხული
გამართავს
ლექცია-დილას.
პირველ და მეორე განყოფილებაში წაიკითხავს თავის „მოხეტიალე მუსიკოსის ნაწერებიდან“, რომელიც სხვა და სხვა დროს დაბეჭდილი იყო „რუსკია ვედომოსტი“-ებში და სხვა გამოცემებში, შემდეგის შინაარსით:
რამ მაიძულა სკრიპკით ეზო-ეზო მევლო. ჩემი პირველი ნაბიჯი. გაცნობა და პირველი გაკვეთილები ქუჩის მეარღნე ახმედასაგან მუსიკის მოქმედება მოსკოველ მილიონერებზედ. „დევნა“ მუსიკის გამო. მხატვრულ მუსიკის გავლენა ხალხზედ. განსაკუთრებული თვისებანი ჩემის აუდიტორიისა. მსმენელთა წერილები. სამეცნიერო კითხვები.
მესამე განყოფილებაში სკრიპკაზედ შეასრულებს სხვა და სხვა მსოფლიო მუსიკოსთა ნაწარმოებს თავის „საეზოო“ რეპერტუარიდან.
ფისჰარმონიაზედ აჰყვება ბ. ზ. ფალიაშვილი.
ადგილების ფასი 1 მ. 50 კ.-დან 5 კ.-მდე ◆ დასაწყისი დილის 12 საათზე.
ბილეთები ამავითვე იყიდება სიმონას კიოსკში, კელლერის მუსიკალურ სავაჭროში—გოლოვანისკზედ, ქართულ სახაიე „ძმურ-ნუგეშში“ და თეატრის კასაში.

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

გოლოვინის პრ. და ხამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზედინსკის ქ. № 4. (თ—202—)

ექიმქა
მ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ
საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღის გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ახალი კლუბი
კვირას, 12 თებერვალს,
ქართული სამხატვრო-მოქმედო საზოგადოება
თავის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად გამართავს
დიდს საღამოს
პროგრამმა:
1) ოპერა **ლაკმე**, ქართულად. მეორე მოქმედება. მუსიკა დელიბესი. ნ. ქართველიშვილის ლოტბარობით.
2) **ციგანთა ბარონი**, პირველი მოქმედება. მუსიკა ზუპესი. ზ. ფალიაშვილის ლოტბარობით.
3) **ეროვნული ცეკვა** სცენაზე და სხვა.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ბილეთები იყიდება **ახალ კლუბში და ძმური ნუგეშის სახაიეში.**
საღამოს დიასახლისი **კნ. ნ. კ. ჩოლოყაშვილისა.**
მთავარი გამგე **თავ. მ. დ. ჭავჭავაძე.**
(2—560—1)

განცხადება
„ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭო
ამით აუწყებს ამავე კლუბის წევრთ, რომ 8 ამა თებერვალს, საღამოს 9 საათზე, დანიშნულია წლიური საზოგადო
წევრთა კრება
განსახილველია: მიმდინარე კითხვები, კლუბის წესდების სხვა და სხვა მუხლების შევსება, 1916 წლის ანგარიშის განხილვა, 1917 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება, არჩევნები მამასახლისთა, სარევიზიო კომისიის წევრებისა, კლუბის წევრების და მუდმივ მოსიარულეთა.
(1—562—1)

პარიზელი ქალი
ეძებს ფრანგულისა და ინგლისურ ენის გაკვეთილებს; ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისათვის. ფასი ხელმისაწვდომია.
მისამართი: მიხეილის პროსპექტი, 84. ბინა როსიონისა.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის საბაზიერო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9 1/2-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ეროვნული იდეა

ყოველ დიდს ისტორიულ ეპოქას თავის განსაკუთრებული იდეა აქვს. ამ იდეას ხშირად შეუგნებლად, ხშირად კიდევ საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ხალხის ფართო წრეებიც ემორჩილებიან და გამოჩენილი პირებიც.

მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის საზღვარზე დემოკრატიული იდეა გაბატონდა. ჰაერი თანასწორობის, ძმობის და თავისუფლების იდეალებით გაიჟღენთა; ამ იდეალებმა თვით იმ დროინდელ ომებს განსაკუთრებული ელფერი მისცა. ნაპოლეონი მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლათ აღიძრა; მაგრამ თავის პირდაპირ მიზანს საბოლოოდ ვერ მიაღწია. ნაპოლეონის ომებისაგან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მხოლოდ ის დარჩა, რაც დროების მოთხოვნილებას შეეფერებოდა: სახელდობ, ნაპოლეონის შვილების კოდექსი, რევოლიუციის იდეებზე აგებული და ბატონყმურის ნაშთების განადგურება.

დღეს ეროვნულ იდეის ეპოქაში ვსცხოვრობთ. ეროვნული შეგნება ისეთ ადგილებში შეიჭრა, სადაც წინეთ სრული გულგრილობა ან უიმედობა იყო. ერთ ფრანგ ისტორიკოსის სიტყვებით რომ ვსთქვათ, ზოგიერთი ხალხი დღეს არტახებში ინძრევა, ზოგიერთი კიდევ სასაფლაოში. ვილჰელმ მეორეს დიდი ომი ჩაგრულ ერთა განსათავისუფლებლად არ დაუწყვია. მაგრამ, რადგან ეროვნული თავისუფლების იდეა უფრო ძლიერია, ვიდრე მსოფლიო დამპყრობელის სურვილები, თანამედროვე ომს შედეგად ალბათ ერთა გამიჯვნა მოჰყვება და არა მსოფლიო იმპერიის დაარსება.

ამის ნიშნები ამთავითვე აშკარად სჩანს კიდეც. მებრძოლი სახელმწიფოები ვეღარ ჰბედავენ ახლად დაპყრობილ ტერიტორიების უბრალო ანექსიას, თუ იქ უცხო ტომები ბინადრობენ. შიშობენ, რომ მათი ორგანიზმი ვერ მოინელებს ამ უცხო ელემენტებს. მეორე მხრით, მოპირდაპირე მხარეები ერთი მეორეს ეჯიბრებიან პატარა ერების გულის მონადირებაში. პოლონეთს თავდაპირველად საშინაო რეფორმები შესთავაზეს, შემდეგ ავტონომია. მტერმა ამაზე მეტი მისცა: სახელდობ, დამოუკიდებელი სახელმწიფო. ახლა პოლონეთს თავისი ეროვნული საბჭო აქვს და ეროვნულ ლაშქარსაც აწყობს. რადგან დღეს ხიშტებს დიდი შთამგონებელი ძალა აქვს, მოსალოდნელია, რომ დათმობის სურვილი თანდათან იმატებს და ბოლოს პოლონელი ერი ისეთ მდგომარეობას მიაღწევს, რომელიც მის უმაღლეს მიზნებსა და უკიდურეს სურვილებს შეეფერება.

ავსტრია-უნგრეთი ბაბილონის გოდოლს წარმოადგენდა ომის დაწყებამდე, ვენის პარლამენტში დეპუტატები ერთსა და იმავე სხდომაზე ხშირად ათ-თორმეტ ენას ლაპარაკობდნენ. აქაც განწმენდის ხანა იწყება. გალიციას და ჩეხეთს ფართო ავტონომიას ჰპირდებიან, ალბათ დაპყრობილ სერბიელებსა კროაციასა და ბოსნია-ჰერცოგოვინას შეუერთებენ. სერბეთმა მწარე აბები გადაჰყლაპა: მან დაჰკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მაგრამ, თუ თანამედროვე ომმა სერბებსა და კროატელთ გაერთიანება მიანიჭა, ეს გარემოება რამდენადმე მაინც დაატკბობს იმ მწარე აბებს.

ირლანდიაში ორანჟელების ოპოზიცია დასცხრა და დღეს თუ არა ხვალ მწვანე კუნძული ჰომრულს (თვითმართველობას) მიიღებს. თვით ინგლისის კონსერვატორული პარტია, რომელიც ყოველთვის მედგრად ეწინააღმდეგებოდა ირლანდიის თვითმართველობას, დღეს დათმობის გუნებაზე სდგას და საწინდრად ირლანდიელებისაგან მხოლოდ სავალდებულო სამსახურის მიღებას თხოულობს.

მაგრამ ყველაზე მეტად საყურადღებო ჰქარა შერთული აზიური ერების გამოღვიძებაა. არაბეთსა, სირიაში, ეგვიპტეში თავი იჩინა ძლიერმა ეროვნულმა მოძრაობამ, რომელიც ძველი არაბული კულტურის მოგონებით საზრდოობს და მიმართულია როგორც ოსმალეთისა, ისე ინგლისის წინააღმდეგ. სამას მილიონიანი ინდოელი ხალხის წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი მემორანდუმი მიართვეს ლონდონის მთავრობას, სადაც ეროვნული უფლებების გაფართოება და პოლიტიკური რეფორმები მოითხოვეს.

ეს ფაქტები დიდს ევოლიუციას მოწმობენ. სულიერი განწყობილება არსებითად შეიცვალა და ომის შემდეგ შეუძლებელი იქნება ძველის წესების აღდგენა. უწლოვანოდ ცნობილი ერები გაიზარდნენ და გამდლები აღარ სჭირიათ.

კაცობრიობის კულტურა ერთს დროს ბევრად უფრო კოსმოპოლიტური ხასიათისა იყო, ვიდრე დღეს არის. კულტუროსან ენად მხოლოდ ლათინური ითვლება ან არაბული. შემდეგ კულტურის ცნება გაფართოვდა, მაგრამ დასავლეთ ევროპისა და ჩრდილო-ამერიკის ფარგალს კი ვერ გასცილდა: ლათინური ენის ადგილი ფრანგულმა, გერმანულმა, ინგლისურმა და იტალიურმა ენებმა დაიჭირეს. დღეს უკანასკნელი ზღუდეები ინგრევა და საერთაშორისო ფერხულში ახალი მონაწილეები ებმებიან. ამით კაცობრიობა მეტს მრავალფერადობას იძენს და მის შემოქმედ ენერგიასაც ახალი ძალები ემატება.

ვ. ღ ელიანი.

პრესის ასალაგმავად

(ნარკვევი)

ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს უფროსად პროფესორ ულინცევის ნაცვლად, რომელიც სამსახურიდან ამ დღეებში გავიდა, დაინიშნა ა. ა. კატენინი, ვინც ამ წელიწად ნახევრის წინად დასტოვა ბეჭდვითი სიტყვის სამმართველოს უფროსის თანამდებობა. კატენინი იყო ავტორი მკაცრი წინასწარი ცენზურის პროექტისა, რომლის მიღებას მაშინ თვით მთავრობაც კი დაერიდა, ხოლო ავტორი იძულებული გახდა ამის შემდეგ სამსახურისთვის თავი დაენებებია. დღეს ეს კატენინი უბრუნდება თავის წინანდელ სამსახურს. სჩანს, მთავრობას პრესის „პირის აკვრა“ განუზრახავს. საშუალება, რომელიც მავნებლად და სათაკილოდ იყო ცნობილი ამ წელიწად ნახევრის წინად, ეხლა საჭიროდ და გამოსადეგად დაუნახავთ. „ნოვოე ვრემია“ ეხება ამ შემთხვევას. გაზეთი ფიქრობს, რომ პრესა მკითხველამდე გზას მაინც გაიკვლევს, თუნდაც ცხრა წინასწარი ცენზურა შემოიღონ. პრესა გაზეთს მიაჩნია საზოგადოებრივ სულიერ განწყობილების მგრძნობიარე ბარომეტრად და ამბობს:

„ბარომეტრის დამტვრევა არ ნიშნავს იმ ამინდის შეცვლას, რომელსაც იგი აჩვენებს. არც ბეჭდვითი სიტყვის ჩაჩუმება ნიშნავს საზოგადოების სულიერ განწყობილების შეცვლას· ასეთი ღონის ძიება მხოლოდ აიძულებს საზოგადოებას სხვანაირი გამოსავალი გზები მოუძებნოს საზოგადოებრივ აზრს, გზები, რომლებიც გაცილებით უფრო ნაკლებად მოხდენილია საზოგადოებრივ აზრის სისწორით გამოსათქმელად და რომლებიც ამავე დროს ძნელი მისაწვდომიც არის მთავრობის კონტროლისათვის. აბა რა ნაყოფი მოიტანა ამას წინად სახელმწიფო სათათბიროს სიტყვებზე დადებულმა ცენზურამ? მხოლოდ ხელიდან ხელში აპოკრიფული „სტენოგრამების“ ფარული გადასვლა. რას მოგვცემს წინასწარი ცენზურა? ერთ რასმე მხოლოდ: საზოგადოების გონებასა და წარმოდგენაში სრულიად გადაამახინჯებს მიმდინარე სინამდვილის პერსპექტივებს. ნუ თუ იდეალი ის უნდა იყოს, რომ ბნელში მართო და განაგო ქვეყანა, სადაც ყველა შეშინებულად აქეთ-იქით იხედება და ხარბად იჭერს ყოველგვარ შფოთისა და შიშიანობის მთესველ სმენსა“.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

გარდა დასავლეთ ბრძოლის ველისა, სადაც მხოლოდ ინგლისელები ადგილობრივ ხასიათის ბრძოლას აწარმოებენ, ყველგან მყუდროებაა გამეფებული. ორივე მოპირდაპირე ჯარ-ჯარობით დიდ სამზადისშია. ეტყობათ, ცდილობენ, რომ დროთი ისარგებლონ და იმდენად მოემზადნენ, რომ მომავალი გენერალური ბრძოლა თავის სასარგებლოდ დააგვირგვინონ. ახლა კი სტრატეგიამ ცხადია თავისი ადგილი პოლიტიკას დაუთმო. მთელი ევროპის ყურადღება მიპყრობილია გერმანეთ-ამერიკის და სხვა ნეიტრალურ სახელმწიფოთა დამოკიდებულებისაკენ. წყალქვეშა ნავების თარეშს იმდენად დიდი დეზორგანიზაცია შეაქვს ნეიტრალურ სახელმწიფოთა ეკონომიურ ცხოვრებაში, რომ ადრე თუ გვიან უკანასკნელებმაც უნდა სთქვან თავისი სიტყვა და ასე თუ ისე ჩაებნენ მსოფლიო ფერხულში. გერმანეთმა კარგად იცის, რომ დანარჩენ სახელმწიფოთა გამოსვლა არსებითად ვერ შესცვლის მის მდგომარეობას და ვერც დიდ გავლენას იქონიებს მათ ეკონომიურ ურთიერთობაზე. ომში ჩარევა უფრო თვით ნეიტრალ სახელმწიფოებზე იქონიებს გავლენას. უსაზღვრო სარგებლობის მაგიერ, რომელსაც ისინი მეომარ სახელმწიფოთაგან იღებდნენ, ახლა, შეიძლება, ისეთი დიდი ზარალიც დაატყდეთ თავზე, რომ პირდაპირ განგაში ასტეხონ ზავის ჩამოგდებაზე. ყველას როდი შესწევს ძალა მსოფლიო ტრაგედია ზურგითა ზიდოს. ამასთანავე ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ თვით გამოსვლა და ომში ჩარევა უბრალო სიმპატია-ანტიპატიაზე არ არის დამყარებული. ორ უმთავრეს კოალიციის გარშემო იყრიან თავს დანარჩენი სახელმწიფონი იმის და მიხედვით, თუ რომელთან უფროა გადაბმული ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებით. პოლიტიკა ჭრელის სიტყვებით და მორალურ პრინციპებით არ ხელმძღვანელობს. მისი დევიზია რეალური ინტერესი. მხოლოდ მისთვის სწირავს სახელმწიფო მსხვერპლს და მას ემსახურება. რეალური ინტერესები ზოგიერთა სახელმწიფოსი იმდენად დაკავშირებულია გერმანეთის არსებობასთან, რომ რაც გინდა ძვირად დაუჯდეს ომის წარმოება, მაინც მისკენ გადიხრება მათი იარაღი. გერმანეთმა იცის ეს და მისი სურვილიცაა, რაც კი შეიძლება, მალე მოხდეს დანარჩენ სახელმწიფოთა პოზიციის გამორკვევაც. რაც ადრე ჩაერევიან ომში ნეიტრალი სახელმწიფონი, მით უფრო მალე ჩამოვარდება ქვეყნად ზავი.

გუშინდელი ოფიციალი დეპეშა ბრძოლის ველის შესახებ საყურადღებო ცნობებს არსაიდან გვაწვდის.

X.

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

7 თებერვალი.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. 4 თებერვალს ღამე მოპირდაპირემ სოფ. სემენკისა და დუბნოს შორის, ვიშნევის ტბის სამხრეთით, მახრჩობელა გაზის ყუმბარები დაგვიშინა.

რუმინეთის და კავკასიის ასპარეზებზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

საფრანგეთი.

6 თებერვალი.

პარიზი. საღამოს ოფიც. ცნობა. დღის განმავლობაში თვალსაჩინო არაფერი მომხდარა, მხოლოდ მაასის ორსავ კიდეზე, ბეზანვოს მიდამოსა და „304“ მაღლობთან საკმაოდ ძლიერი სროლა იყო ზარბაზნებისა. სენ-მიცას ჩრდილოეთით გუშინწინღამ მტერი მოულოდნელად დაეცა ჩვენს სანგრებს, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ.

7 თებერვალი.

პარიზი. დღის ოფიც. ცნობა. ბურჰაუპტ-ლეგეს მიდამოებში მზვერავთა მოქმედებაა. 4 თებერვალს ღამე მტრის „ცეპელინი“ დასტრიალებდა საფრანგეთის სანაპიროებს პადეკალესა და ბულონის მიდამოებს, სადაც რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო, თუმცა ზიანი არ მიუყენებია.

ინგლისი.

7 თებერვალი.

ლონდონი. საღამოს ოფიც. ცნობა საფრანგეთში მყოფ ინგლისის მთავარ შტაბისა. გუშინ ანკრის მახლობლად 12 ოფიცერი და 761 ჯარის კაცი დავატყვევეთ. ხელთ ვიგდეთ ბევრი ტყვიისმფრქვეველი და ყუმბარის მტყორცნელი. დღეს დილით ბაიკურის ფერმის იქით მოპირდაპირემ ძლიერი ჯარით შემოგვიტია; მისი ქვეითა ჯარი სამწყებად წამოვიდა, მას ზურგის მხარეს ჰყავდა დამხმარე რაზმები, სროლით დიდი ზიანი მივაყენეთ და უკუვაგდეთ; ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია. არასის სამხრეთ-დასავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთით, ფოკისარის სამხრეთით და იპრის ჩრდილოეთით

ღამე შევიჭერით გერმანელების სანგრებში, დიდი ზიანი მივაყენეთ, აუფეთქეთ ტყვიისმფრქვეველი და 19 კაცი დავატყვევეთ. იპრის სამხრეთით მტრის რაზმებმა სცადეს ჩვენ თხრილებში შემოჭრა, მაგრამ უკუვაგდეთ. აქ მტერი დიდათ დავაზარალეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. ბუშავენის მახლობლად, აგრედვე ანკრისა და იპრის მიდამოებში მთელ დღეს ზარბაზნების სროლა იყო.

იტალია.

6 თებერვალი

რომი. იტალიის მთავარ შტაბის ოფიციალი ცნობა. კავენტოსა, პორჩელონსა, მონტორსოსა, ვალარსა და ზემო ადიჯეში ჩვენმა მზვერავებმა სიმარჯვე გამოიჩინეს და ტყვეებიც წამოიყვანეს. სმუცას სათავისაკენ, კარსოზე, თვალ აჩინო ბრძოლა სწარმოებდა ზარბაზნებით.

საბერძნეთი.

6 თებერვალი

სოლუნი. 2 თებერვალს კორაცინში მოკავშირე სახელმწიფოთა დესპანების თათბირი მოხდა. მოკავშირეთა სამხედრო მისიის აგენტებმა ჯარის გადაყვანის გეგმა შეიმუშავეს. ინგლისის სამხედრო-საკონტროლო კომისიის უფროსი გენერ. ფილიპპი ლარისს გაემგზავრა.

გუშინ გამოცხადდა მეფის ბრძანება, რომლის ძალითაც მოთადარიგენი ვალდებულნი არიან სამხედრო მთავრობას ჩააბარონ მათთან დარჩენილი ყოველგვარი იარაღი, თოფები, ხიშტები და რევოლვერები. იარაღის ჩასაბარებლად 5 დღის ვადაა. ამ ვადის შემდეგ პოლიციას დაევალება სახლების ჩხრეკა და ვისაც რაიმე იარაღი აღმოაჩნდება 1000 ფრანკით დააჯარიმებენ. შინაგან საქმეთა მინისტრმა ჟანდარმთა სამმართველოს მიწერილობა გაუგზავნა, იარაღის დამმალველნი პასუხისგებაში მიეცითო. მინისტრის ცირკულიარში ნათქვამია, სახლების ჩხრეკა აუცილებელის ენერგიით უნდა სწარმოებდესო.

ავსტრალია.

7 თებერვალი

მელბურნი. ავსტრალიის სამინისტრო სამსახურიდან გადადგა. ჰიუზმა შეადგინა ახალი სამინისტრო სახელწოდებით „მთავრობა საზოგადოების კეთილდღეობისა და ომისა". ჰიუზს განუცხადებია: ახალი მთავრობა მთელ ქვეყანას დაუმტკიცებს, რომ იგი მზადაა ომი სრულ გამარჯვებამდე აწარმოვოსო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ამერიკა

ვაშინგტონიდან „მორნინგ პოსტს" დეპეშით ატყობინებენ: ამერიკის ნავთსადგურები გემებითაა გაჭედილი. ეს გერმანეთის მუქარას როდი მიეწერება, მენავეთა ამხანაგობანი ჯერ გადაჭრილი გეგმის თადარიგში არიან, რათა მენავეობა უზრუნველ ჰყონო.

გერმანეთის წინადადება

„მატენი" გადმოგვცემს: ვაშინგტონში მყოფმა შვეიცარიის დესპანმა უილსონს გადასცა გერმანეთის ახალი წინადადება, რომლითაც ატყობინებს, რომ მხოლოდ ინგლისის სანაპიროებს გარემოვიცავო. უილსონმა, თურმე, ეს წინადადებაც არ შეიწყნარა.

ვილჰელმი ვენაში

ვილჰელმი ვენას ესტუმრა. ამ სტუმრობას გერმანული და ავსტრიული გაზეთები დიდს პოლიტიკურსა და სამხედრო მნიშვნელობას აძლევენ. სწორედ ეხლა სწარმოებს მოლაპარაკება ავსტრიის საგარეო მინისტრისა და ამერიკის დესპანს შორის, წყალქვეშა ბრძოლის გამოცხადების გამო. ვილჰელმსა სურს ამ მოლაპარაკებას პირადად დაესწროს.

ინგლისი

ინგლისის პარლამენტში ლორდმა ბერესფორდმა განაცხადა: ომის დაწყების აქეთ ინგლისის გემებს საერთო ვარაუდით 248 მილიონ ფუთის მზიდველი გემები დაეღუპათო.

ლორდმა კერზონმა კი განაცხადა: 1914 წელს, ომის დაწყებამდე, ინგლისს 3890 სავაჭრო გემი ჰქონდა, საერთო ვარაუდით 992 მილიონ ფუთის მზიდველიო.

საფრანგეთი.

საფრანგეთის პალატაში წინადადება შეიტანეს 500 ათასი ფრანკით დააჯილდოვონ ხოლმე სავაჭრო გემების მეზღვაურნი, თუ მტრის წყალქვეშას შეებრძოლებიან და დაღუპავენ.

მექსიკა

ნიუ-იორკიდან „დეილი ტელეგრაფ"-ს ატყობინებენ: მექსიკის პრეზიდენტმა გენერალმა კარანცამ შტატების საგარეო საქმეთა მინისტრს ლანსინგს ნოტა გამოუგზავნა: ჩვენს მაგალითს მიჰყევით და ზღვაზე მთლად შეაჩერეთ მენავეობა, რათა ომის დასასრული დავაჩქაროთო.

შტატების სამხედრო მთავრობა დარწმუნებულია, რომ თუ შტატები გერმანეთს ომს გამოუცხადებენ, მექსიკა აუჯანყდებაო.

პოლონეთის საკითხი

განსაკუთრებულმა თათბირმა, რომელმაც პოლონეთის მომავალი წყობილების ტიპი უნდა შეიმუშავოს და რუსეთ-პოლონეთის მომავალი უთიერთობაც გამოარკვიოს, თავისი მუშაობა ისე უნდა წაიყვანოს, რომ ყველაფერი მზად ჰქონდეს საკანონმდებლო დაწესებულებათა გახსნისათვის. შემდეგ სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთ პირველ კრებაზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, თავადმა გოლიცინმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა პოკროვსკიმ უნდა გამოამოაქვეყნონ მთავრობის დეკლარაცია პოლონეთის საკითხის თაობაზე. პოლონეთის მომწყობი განსაკუთრებული თათბირის ნამუშევარი, მოხსენების სახით, უნდა გადაეცეს სახელმწ. საბჭოს და სახელმწიფო სათათბიროს პოლონელ წევრებისაგან შემდგარ კომისიას განსახილველად. ამ კომისიაში სახელმწიფო საბჭოდან შედიან გრაფი ველეპოლსკი და შებეკო, სახელმწიფო სათათბიროდან—გარუსევიჩი და იარონსკი. საკანონმდებლო დაწესებულებათა რეზოლიუცია, განსაკუთრებული თათბირის წერილობით, მოხსენება და პოლონელთა კომისიის დასკვნანი მოიცემიან იმ მასალას, რომელიც უნდა დაედვას საძირკვლად საბოლოო აქტის დამუშავებას პოლონეთის საკითხის საქმეში. ფიქრობენ, რომ თებერვლის ოცისთვის დასრულდება საბოლოო აქტის გამოსაცემად ყველა აღნიშნული მოსამზადებელი მასალა და რომ თვით ამ აქტის გამოცხადებაც თებერვლის განმავლობაში მოხდება.

შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობა.

1916 წლის განმავლობაში შეერთებულ შტატებს უცხოეთში 15 მილიარდ ნახევარ მანეთის საქონელი გაუტანიათ. 1915-ში კი—10 მილიარდისა. შემოტანით კი 1916-ში 8 მილიარდი მანეთის საქონელი შემოუტანია. ამგვარად გატანილი საქონლის ღირებულება შემოტანილს შვიდ მილიარდ ნახევარ მანეთით სჭარბობს, მაშინ როდესაც 1915 წელში იგი მხოლოდ ოთხ მილიარდ მანეთით სჭარბობდა. ამა 1917 წელს კი შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობა უკვე 25 მილიარდ მანეთს აღწევს. ეს ციფრი შეადგენს მთელ მსოფლიოს წლიურ ვაჭრობის ერთ ჯამის მეხუთედს, რაიცა 1914 წლის საგარეო ვაჭრობის თანხას ას პროცენტით აღემატება. აღსანიშნავია, რომ საკვებ მასალებისა და დაუმუშავებელ მასალების შემოზიდვა აღემატება ამგვარივე მასალების გაზიდვას. ეს მასალები იმპორტის 59 პროცენტს შეადგენს, ხოლო ექსპორტისას 40 პროცენტს. რაც შეეხება ფაბრიკატებს, აქ წინააღმდეგი მოვლენა ხდება. ქარხნის ნაწარმოები საერთო იმპორტის ჯამის 51 პროც. შეადგენს, მაშინ როდესაც ექსპორტის საერთო ჯამში ქარხნის ნაწარმოებებს 60 პროცენტი უჭირავს.

უკანასკნელი ცნობები

გერმანეთის ჯარს წარსულ ქრისტეშობისთვის განმავლობაში დააკლდა 87,966 კაცი დაჭრილი და მკვდარი, ხოლო ომის დასაწყისიდან 4 124,384 კაცი.

—

უნახშირობისა და სიცივეების მიზეზით პარიზში დროებით სწავლა შესწყდა ყველა სასწავლებელში.

—

გერმანეთი სცდილობს მოურიგდეს როგორმე ამერიკას, მაგრამ ამ უკანასკნელს ჯერჯერობით თავი შორს უჭირავს.

—

საუწყებათა შორისო თათბირი შეუდგა ამიერ კავკასიაში ერობის შემოღების პროექტის განხილვას. ორ სხდომაზე დაამთავრა პროექტის მთავარ დებულებათა განხილვა, დაეთანხმა უმრავლესობის დებულებებს, რომლებიც მიღებულ იქმნენ მეფის ნაცვლის მიერ მოწვეულ საამიერკავკასიო თათბირისაგან, და შეუდგა პროექტის მუხლობრივ განხილვას.

—

ჰინდენბურგი ბელგეთის სოფელ იოაშერტში და ემზადება ფართეთ შეუტიოს მტერს ალბად იპრის რაიონში, რომ დაასწროს ფრანგ-ინგლისელთა შემოტევას.

ახალი ამბავი

◆ **კავკასიის ერობის შესახებ.** საუწყებათაშორისო თათბირმა დაადგინა თბილისი და ბაქო დამოუკიდებელ საერობო ერთეულებად გამოჰყონ; საინგილო თბილისის გუბერნიას უნდა შემოუერთონ. მეფის ნაცვალმა ბრძანა კანცელარიამ ადგილობრივ გაზეთების რედაქციებს დაუგზავნოს პროექტი ერობის შემოღებისა ამიერ კავკასიაში.

◆ **თბ. საქალებო საეპარქიო სასწავლებელში** ინსპექტორის თანამდებობისთვის ჯერ-ჯერობით ორი კანდიდატია: მღ. ტერნოვსკი (კავკავიდან) და მღ. მიხ. ფხალაძე (აკადემიელი, პოდოლის გუბერნიის ერთ-ერთ სასულ. სასწ. მასწავლებლადაა). უკანასკნელს უკვე სთხოვა ტელეგრამით სასწავლებლის საბჭომ თანხმობის გამოცხადება. არჩევნები სამოსწავლო წლის დამლევისათვის არის გადადებული.

◆ **დამფუძნებელი კრება.** კვირას, 12 თებერვალს, დღის 12 საათზე, საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში (ფრეილინის ქუჩა) დანიშნულია ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრთა დამფუძნებელი კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს გამგეობა და სარევიზიო კომისია 3 წლის ვადით. კრებაზე გადამწყვეტი ხმა ექნება ყველას, ვისაც წარდგენილი აქვს 1917 წლის საწევრო გადასახადი და მიღებულია წევრად. საწევრო გადასახადის შეტანა შეიძლება კრების დღემდეც წ.-კ. გ. საზოგადოების მთავარ გამგეობის კანცელარიაში.

◆ **პარასკევს,** თებერვლის 10, საჩაიე „ძმურ ნუგეშში" გაიმართება ქართული სიმღერა და დეკლამაცია.

◆ **სამღვდელოების ჯამაგირების** მომატების საკითხი მინისტრთა საბჭოში იქმნება განხილული.

◆ **სანატორია.** ქალაქთა კავშირს განზრახვა აქვს მოაწყოს სანატორია სოჩისა ან სხვა ქალაქში შავ ზღვის პირად. სანატორიაში 30 ლოგინი უნდა ეტეოდეს.

◆ **ქალაქთა კავშირში.** ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების მთავარ-რწმუნებულს ა. ხატისოვს მეფის ნაცვალმა უბრძანა შეამცირეთ ამ კავშირში მოსამსახურეთა რიცხვიო.

◆ **ნიკოლოზ ბარათაშვილის საღამო.** პარასკევს, 10 თებერვალს, ქალთა საეპარქიო სასწავლებელში გაიმართება ნიკოლოზ ბარათაშვილის საღამო, სალიტერატურო და სამუსიკო განყოფილებებით. სამუსიკო განყოფილებას ხელმძღვანელობს ბ-ნი ია კარგარეთელი. საღამოზე დასწრება შეუძლიათ მხოლოდ მოსწავლეებს.

◆ **ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის** მონაწილეთა წარმომადგენლების კრება დაიწყება დღეს, 8 თებერვალს, დღის 11 საათზე. კრებამ უნდა განიხილოს: მოქმედების ანგარიში, გეგმა მომავალი მოქმედებისა, მოხსენება კავშირის წესდების შეცვლა-შევსების შესახებ, უნდა აირჩეს კავშირის გამგენი და სხ. კრება რამდენიმე დღეს გასტანს.

◆ **გ. ს. ვარაზაშვილს** გამოუგზავნია ბრძოლის ასპარეზიდან ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისათვის 50 მანეთი.

◆ **კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების** სტატისტიკურ კომისიის წევრთ იანვრის 13 კრება ჰქონდათ მომავალ სამოქმედო გეგმის შესამუშავებლათ. კრებამ მოისმინა მოხსენება ბ-ნ პეტრე გელეიშვილისა ამიერ კავკასიაში სასტატისტიკო ცნობების შეკრებისა და სტატისტიკოსთა მომზადების შესახებ.

◆ **ქურდობა.** 4 თებერვალს გოლოვინის პროსპექტზე სედრაკ ტერყაზაროვის სახლში მოიპარეს 350 მანეთი. ბრალი ედება არამ არუტუნიანცს, რომელიც პოლიციამ დაატუსაღა.—3 თებერვალს კადეტის მოსახვევში აბრამ კორებლიტს მოჰპარეს 882 მ. ქურდი, ეკატერინე ზაგილოვის ქალი, დაიჭირეს.—3 თებერვალს კირკის ქუჩაზე მცხოვრებ ივანე სმაკევს გაუტეხეს სამზარეულო და წაიღეს 600 მანეთის ნივთეულობა.—5 თებერვალს კობის ქუჩაზე სახლი გაუტეხეს ესტატე ჩოჩიევს და წაიღეს 300 მან.

◆ **შეპყრობა.** პოლიციამ შეიპყრო დეზერტირები: არტაკსეს ატიკოვი და დანიელ ლებედევი.

◆ **სავაჭრო ადგილები.** გუბერნატორმა განიზრახა შესაფერ ზომების მიღება ჩვენში სავაჭრო ადგილების რიგიანად მოწესრიგებისათვის.

◆ **ხარფუხის კლუბში.** ოთხშაბათს 8 თებერვალს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ, წარმოდგენილი იქნება „მშვენიერი ელენე", წარმოდგენაზედ შესვლა უფასოა.

◆ **ავტომობილის მსხვერპლი.** 6 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, გოლოვინის პროსპექტისა და ოლგას ქუჩის შესართავთან, ფოსტის გამგეობის მახლობლად, გამალებული სამხედრო ავტომობილი № 13 დაეტაკა ვიღაც დავრდომილ კაცს და გაიტანა. ავტომობილი არც კი შეჩერებულა და ხელად მიიმალა. ცოცხალ-მკვდარი კაცი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ **მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტში** თავისუფალია 2 ადგილი: აგენტისა და ინსტრუქტორისა. ორივე ამ თანამდებობაზე კანდიდატების ასარჩევად დღეს, 8 თებერვალს, კრება ექნება კომიტეტის საგანგებო კომისიას. ამავე კომისიამ უნდა გამოარკვიოს [illegible] ლექციების გასინჯვისა თბილისში.

◆ **„ჯეჯილი".** რედაქციას მოუვიდა საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის" ამა წლის 1 №. შიგ მოთავსებულია მოთხრობები: ეკ. გაბაშვილისა, იგ. გომართლისა, ცქვიტისა და სხ..

დუშეთი.

სოფ. ფასანაურში ცეცხლი გაჩნდა, დაიწვა ნიკოლოზ კობაიძის სახლი; ზარალი 10,500 მანეთისაა.

თელავი.

დარაჯმა კურბან ჯორჯიკ ოღლიმ მოჰკლა ომარ ნამაზ ოღლი.

ბორჯომი.

5 თებერვალს მოხდა წ.-კ. გ. საზ. აქაურ განყოფილების წევრთა წლიური კრება, რომელზედაც აირჩიეს თავმჯდომარედ დეკ. იაკ. გორგაძე, გამგეობის წევრებად: ბ.ბ. კოსტ. დიონ. ჯაფარიძე, ვალ. ქავთარაძე და გ. ვაშაკიძე. ამავე კრებაზე არჩეულ იქმნა აგრეთვე სარევიზიო კომისია. კრებამ ერთხმად სურვილი გამოსთქვა, რათა ახალმა გამგეობამ უფრო მეტი უნარი და შრომა გამოიჩინოს და მეტის მხნეობით შეუდგეს ხალხში სწავლა-ცოდნის გავრცელებას.

ზესტაფონი.

10 თებერვალს დ. ზესტაფონის საკრებულო დარბაზში გაიმართება ყრილობა საქარაში მევენახეობის და მებაღეობის საშუალო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

ომში

(მოკლულნი, დაჭრილნი და დაჯილდოვებულნი).

თბილისის მერვე ლაზარეთში 28 იანვრიდან ვიდრე 4 თებერვლამდე მოათავსეს შემდეგი დაჭრილი და ავათმყოფი ქართველი ჯარის კაცები: ვასილ ძაძალია (ზუგდ. მ. სოფ. ჯვარი), ივანე ჩიკვაიძე (შორაპ. მ. ს. საბე), კონსტანტინე ახვლედიანი (ლეჩხ. მ. სოფ. ჩხუტელი), რაჟდენ ახობაძე (სენაკ. მ.), თობა ალადაშვილი (სიღ. მ. სოფ. ჩუჩემი), გიორგი გიორგაძე (ქუთ. მ. სოფ. ტობანიერი), კირილე ჯინჭარაძე (ლეჩხ. მ. სოფ. ლაბეკინა), პართენ მჭედლიშვილი (სიღ. მ. სოფ. ქვემო-მაჩხ.), ლუკა კალანდაძე (ოზურგ. მ. ს. ხიდისთავი). გრიგოლ ხოპუაშვილი (თბ. მ. სოფ. კუმოკი), კონსტანტინე კაშილერია (ქუთ. მ.), ბაგრატ ლაშხი (შორაპ. მაზ. ს. სახელო), სოლომონ მაისურაძე (გორ. მ. სოფ. ავლევი), თეოფილე მაჭარაშვილი (ქუთ. მ.). თედორე მუჭაშვილი (დუშეთ. მაზ.), პლატონ ნიკოლაშვილი (შორაპ. მაზ. სოფ. სარგვეთი), ილარიონ ტუსკაძე (ქუთ. მ.), დავით ხაჭაპურიძე (ქუთ. მაზ.) იასონ ბრეგვაძე (შორაპ. მაზ. სოფ. საკურცე), გერასიმე გაგუა (ზუგ. მ.), იოსებ ჭენქაძე (რაჭ. მ. ს. ტოლა), იასონ ცერცვაძე (ქუთ. მ. ს. სიმონეთი), ზოლიკ ბედოშვილი (დუშეთ. მ. სოფ. ძაგულანთი), მიხეილ გასიანი (ლეჩხ. მ. ს. მახათა), მათე გეგეშიძე (ქუთ. მაზ.

როდემდის

(პატარა ნაგლეჯი ქართლის ცხოვრების სურათისა)

(დასასრული)

VII

— არა, ბატონო ჩემო, რა დროს გვეყოფა—ამდენს უარყოფითი საბუთებს თუ კი ხალას ოქროდ მივიღებთ, რამე წამალიც უნდა გამოვუნახოთ. მართლაც და, რა ეშველება ქართლს? რა არის მიზეზი სოფლის ე მაგრე გათახსირებისა. პალიატივებით, რა თქმა უნდა, არაფერი შეემატება საქმეს... მაშ რა საშველი აქვს მაგ მოარულს, თუ შავ ჭირს!?

— ჰო და საქმეც ეგ არი... მოარული თუ შავი ჭირი, ჩემო ბატონო, როდია ისე საშინელი, რადგან რაც მოსავალია, ერთხელ მოვა და ავად თუ კარგად მორჩება, თავიდან მოგვშორდება. მაგალითად, უწინ თურქობა იყო თუ ლეკიანობა, სტიქიურად შემოიჭრებოდა, მიარბევდა, მოარბევდა და თავიდან გვშორდებოდა, ტყეში, მთაში გახიზნული ხალხი ისევ უბრუნდებოდა თავის კერას, ჩვეულებრივს ცხოვრებას.

მე ცოტა, არ იყოს, ატენური მოშეკიდა... ჰო, ის უნდა მომეხსენებინა.. არა, ჩემო ძმაო, „სიგიჟეც ჯერითარის". ჯერ შენ დალიე და მერე მეც დამალევინე... ჰო და, ის უნდა მეთქვა, მთავარი მიზეზი ქართლის დაცემისა ის არის, რომ თავის ბუნებრივ, ეროვნულ კალაპოტიდან ამოვარდა,

სოფელი უპატრონოდ დარჩა, მისი ქომაგი და გულშემატკივარი აღარავინ არის,— აღარც თავადი და აღარც მღვდელი: ხალხს თავისად აღარავინ მიაჩნია, აღარავინ ეგულება, აღარ იცის ვის მიენდოს, ვის დაუჯეროს—ერთად ერთს ნავთსაყუდელს ეკლესიასაც კი გაურბის. სოფელში ინტელიგენცია (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) აღარავინ რჩება,—ყველანი გაურბიან. დღეს სოფლის ლოტბარები ჩინოვნიკები არიან, სტრაჟნიკები ქმნიან ქართველთა კულტურას ადმინისტრაციულის წესით. გზირებს დარჩათ ბურთი და მოედანი...

— „სოფელს ვინ და ერთი კაციო". მე იმას ვიტყვი, რომ განვითარებულ დემოკრატიას, აგრეთვე მღვდელს და მასწავლებელს, რომელთაც თავიანთ თავის ღირსება ესმით და პატივისცემა აქვსთ სოფელში, ბევრი რამ სიკეთე შეუძლიანთ დათესონ.

— მღვდელმა, რომელიც სტრაჟნიკებით დადის და ჰკრეფს დრამის ფულს, რაღა ზნეობრივი ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს?! რაც შეეხება მასწავლებელს მას მერე, რაც მაგასაც მუნდირი ჩააცვეს და კოკარდა მიაკრეს, ეგეც ხალხს დაშორდა, ადმინისტრაციის წევრი გახდა. გლეხი-კაცი მაგასაც ისე უცქერის, როგორც „ნაჩალსტვოს".— თქვენი არ ვიცი, ჩ მეკი მახსოვს „ნეტარ ხსენებულ" ბოლდანოვის დრო. ინსპექტორი იყო და სკოლაში რო შევიდოდა ქართლის სოფელში, უწინარეს ყოვლისა იმას უსაყვედურებდა მასწავლებელს: „тутъ русью не пахнетъ"-ო. ჰო და ან კი რა ქმნას მასწავლებელმაც ამისთანა რეჟიმის დროს? მას ნაბრძანები აქვს ქართველს ბავშვს თავი გაულაყოს, ქართული, ბუნებრივი, ღვთისგან მინიჭებული სული ამოაცალოს და ბოლდანოვების სული ჩაუდგას. და თუ მათქმევინებთ, ერთს სიმართლესაც მოგახსენებთ.

— ბრძანეთ, ჩემო ბატონო...

— მე ის უნდა ვბრძანო, რომ ქართველი მასწავლებლები და მღვდლებიც მეტი წილი სამშობლოს მოღალატენი არიან...

— აბა რა ბრძანებაა! ეგ კი მეტის მეტია, სასტიკი ბრალდებაა, დაუმსახურებელი.

— არა... სულაც არა, თქვენ კი არ გეგონოსთ, რომ მე მართლაც და ატენური მალაპარაკებდეს.

მღვდელი ხარ... ხო ხედავ, რომ ივერიის ეკლესიის დანგრევას ემსახურები, უფრო სჯობს, გაიხადო ანაფორა და დასტოვო ურჯულება ეგე.

მაშ! მაშ როგორ გნებავთ! ყველაფერი სინიდისის ქარცეცხლში უნდა გავატაროთ. როდესაც შენ, ქართველი მასწავლებელი, ეხმარები და ყოვლის შენის არსებით ცდილობ ქართულ ენის განადგურებას, უსუსურ ბავშვის ძალად გადაგვარებას, სამშობლოს მოღალატე ხარ, თუ არა?! იმ ქართველ მასწავლებლებთ, რომელნიც ლევიცკის მეთოდით ქართველ ბავშვებს ასახიჩრებენ, ნუ თუ ქართველ საზოგადოებაში კიდევ უნდა ჰქონდესთ ადგილი? მაგის მსგავსი აბა პოლონეთში მომხდარიყო... ჰოდა თუ კი სინიდისი გაქვს, დაულოცე ეგ კაკარდიანი ქუდი შენს ინსპექტორს და წადი, შარა-გზაზე ქვა ამტვრიე, ჰალალი, სინიდისიანი ლუკმა ჭამე.

მეტი შეუგნებლობა - უკულმართობა ღა გნებავთ?! ქართველი კაცი ჯალათობს, 30—40 მანეთად სამშობლოს ჰყიდის და თავის ხელით ძირს უთხრის მის დედა-ბოძს—სოფელს, გლეხობას.

— თქვენ, ჩემო ბატონო, ისევ ჭირს და ვარამს სჩივით, მე კი ის გთხოვეთ, საშუალება რამ გამოვნახოთ ჭირის განსაკურნავათ.

— ერთიც დამისხით და გეტყვით, მაცალეთ, ე ბოლმა ცარიელი ლაპარაკით მაინც გავიქარვო, ამ ენაზედაც ხო ცენზორის კლიტეს ვერ დამადებთ, უწინ, ჩემო ბატონო, როცა ქართლი ქართლობდა, ნინოს, თამარის და ქეთევანის სული თავს დასტრიალებდა ამ ღვთის-მშობლის ხვედს სამოთხეს საქართველოს, მაშინ მარტოოდენ გორის მაზრაში ოთხგან იჯდა ეპისკოპოსი, მღვდელ-მთავარი (გორი, ურბნისი, ნიქოზი, სამთავისი), ეხლა კი ეპისკოპოსი კი არა, უბრალო ბერმონაზონიც თვალით არავის უნახავს. დიაღ, ქართლში რო ქართული სული ტრიალებდა, მღვდელ-მთავარნი ყოველ წლივ ორ გზის მაინც შემოუვლიდნენ ხოლმე თავის საყვარელ სამწყსოს: უწირავდნენ, უქადაგებდნენ, ხალხს დალოცავდნენ, ამხნევებდნენ, სულიერ ძალასა და სასოებას უნერგავდნენ. ვის არ გახსოვთ სულმნათი გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა?! ჰო და ასეთები იყვნენ ქართლის მაკურთხეველნიც უწინ; დღეს კი ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. მთელი ხუთმეტი საუკუნე, 1500 წელიწადი ქართველობა ქრისტეს რჯულისათვის და სამშობლოსთვის იბრძოდა, სიცოცხლეს სწირავდა, მაშასადამე, სამშობლოც ჰქონდა და რჯულიც, ეხლა კი აღარც სამშობლო აქვს, აღარც რჯული.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, აკი დღესაც ჰყავს ქართლს ეპისკოპოსი ვიკარნი...

ეგ მხოლოდ ცარიელი ფრაზაა. მღვდელ-მთავრის წირვა - ლოცვა, ეს ერთი საუკუნეა, 100 წელიწადი, სამჯერ არავის უნახავს და ისიც, არა მგონია, გორს გასცილებოდეს—ისიც თუ ვისიმე დასამარხათ მოიწვევდნენ!.. ისე ინიშნება და ისე იცვლება ქართლის მაკურთხეველი, რო მისი კურთხევა ქართლს, მისს სამწყსოს, არც კი მიუღია. ეგ რად გინდათ, ქართლში ბევრს მღვდელს იპოვით, რომელიც 40—50 წელს მღვდლობს და ისე გაწუტევებს ხოლმე ამ საწუთროს, რო ქართლის მაკურთხეველი თვალითაც არ უნახავს.

— აკი წელს ორჯელ თუ სამჯერ იყო ეპისკოპოზი ქართლისა, ყოვლად სამღვდელო ანტონი.

— მე, ჩემი ბატონი ხარ, გასტროლებისა არა მწამს-რა. თანაც ეგ მოხდა მაღალყოვლად სამღვდელო პიტირიმის გავლენით. ნამდვილად კი ქართლის ეპისკოპოზი ქართლში უნდა იჯდეს, თავის ტახტზე. საქმეც ეგ არის, რო ეპისკოპოზის ტახტიც დაინგრა და ქათალიკოზისაც.

აი, ჩემო ბატონო, უმთავრესი მიზეზი ქართლის რყევისა, უნიადაგობისა და უაზროდ ცხოვრებისა. მისი ენა ყველგან დევნულია, მისი წმიდა ტაძრები დანგრეულია, ხალხს აღარავინ ჰყავს ნუგეშინის მცემელი, მქადაგებელი. ხო გახსოვთ, წელს რა სკანდალი მოხდა წმ. ანტონის დღეობაზე? იმდენს ქართველ სამღვდელოებაში (ეპისკოპოზი, არხიმანდრიტი, დეკანოზი და მღვდლები) ვერავინ გაბედა ქართულად ექადაგნა.

ამისათვისაც თურმე მოქალაქობრივი გაბედულობა ყოფილა საჭირო.— ანგარებას იქამდე წაუწყმედია ჩვენი სულიერი მამები, რო თავის ფუფუნების დაკარგვას შიშობენ და ძრწიან. მთელს ერს თავის სანაცვლოდ ხდის, რათა მიიღოს დაწინაურება, მეტი პატივი, ჩინი, ორდენი.

ამ გვარ ეგოისტ მწყემსების ხელში დაქსაქსული ცხოვარი ნორმალურ ეროვნულ ცხოვრებას ასხლტა, უნიადაგოთ დაძრწის. ხალხს გული გაუტყდა, გაველურდა.

VIII.

— არა, ჩემო ბატონო... ე ხო თქვენის პირით თვით ჭეშმარიტება დაღადებს, მაგრამ მე მაინც ასე მალე ვერ დაგითმობთ ჩემს პოზიციას. მე მყავს კიდე სათადარიგო ჯარი... მე დაგისახელებთ თქვენ, სულ ცოტა, 200 სტუდენტს ქართლის შვილებს.

— ეგ მარილნი ქვეყნისანი...

— მომითმინეთ, მომითმინეთ... ეგ, ვსთქვათ, ყველანი თქვენ სამარცხვინო ბოძზე გააკარით, მერე ღა რას სჩადიან ქართლის სტუდენტები, უკვე მომწიფებულნი განათლებულნი ახალგაზდანი, თავისუფლად მოაზრენი? სხვა არა იყოს რა, მარტო ამათ, ორასამდე კაცს, შეუძლიანთ ზაფხულობით მაინც, სალი ატმოსფერა, სუფთა ჰაერი შეიტანონ სოფლის მაგ დახშულ ჯურღმულში!

— აბა რა ბძანებაა! თქვენგან არ მიკვირს! აბა რომელ სტუდენტს გააჩერებთ სოფელში! ჰო, იქნება მოხდეს კი,

სამტრედია), ალექსი ნატრუშვილი (თელავ. მ) ლავრენტი დარბაიძე (შორაპ. მაზ. სოფ. გორისი), ისიდორე კანკია (სენაკ. მ. ს. აბედათი), კონსტანტინე კანდელაკიშვილი (სიღ. მ. ს. კედელი)

ქალაქის საბჭო

6 თებერვალი.

კრება გაიხსნა ღამის 8 საათ. 45 წ. თავმჯდომარემ **ა. ი. ხატისოვმა** კრებას მოახსენა აზრუმის აღებიდან ერთი წლის შესრულების გამო, 3 თებერვალს გარდახდილ დღესასწაულის ამბავი. დღესასწაულში, სხვა დაწესებულებათა შორის, ქალაქის გამგეობამაც მიიღო მონაწილეობა. ქალაქის მოურავს ქალაქის თვითმართველობის და ქალაქის მცხოვრებთა სახელით მისალოცი დეპეშა გაუგზავნია კავკასიის მხედრობათა უავგუსტოეს მთავარ სარდლისათვის და მის უმაღლესობას კეთილ უნებებია საპასუხო დეპეშით ეპასუხნა მოურავისათვის. აგრეთვე ბ-ნს მოურავს დეპეშით მიულოცავს გენერალ იუდენიჩისათვის და ამასაც დეპეშითვე უპასუხნია. შემდეგ თავმჯდომარემ კრებას მოახსენა ქალაქის გამგეობის დადგენილება, რომ დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის სახელობაზე ქალაქის ხარჯით დაარსდეს 10 სტიპენდია თავდადებულ მხედართა შვილების ასაზრდელად: 2 სტიპენდია იქნება უმაღლეს სასწავლებლებში, 2 საშუალოში და 6 საქალაქო სასწავლებლებში.

კრებამ მოიწონა გამგეობის მოქმედება და დადგენილება.

ხმ. პ. მ. დოლუხანოვი გამგეობას ეკითხება, რა მდგომარეობაშია საბჭოს დადგენილება ტრამვაის ტარიფის შემცირების გამო, რატომ აქამდისინ ძალაში არ შევიდა ეს დადგენილებაო?

გამგეობის წევრმა **ა. მ. არღუთინსკიმ** უპასუხა ხმოსანს, რომ საბჭოს დადგენილება უთუოდ ძალაში შევა; აქამდისინ მიტომ დაგვიანდა მისი დამტკიცება, რომ გუბერნატორი ავად იყო და ვიცე-გუბერნატორმა ბ-ნმა პანოვმა მისი დამტკიცება არ იკისრაო. ეხლა გუბერნატორი უკედ არის და მუშაობას ჩქარა შეუდგებაო.

გამგეობის წევრმა **მ. ა. ჯაბარმა** კრებას მოახსენა პასუხი: ხმ. გალსტიანის წინანდელ შეკითხვის გამო შესახებ იმისა, თუ ვისი ბრალია და რამ გამოიწვია ავლაბარსა და ნავთლუღში რამდენიმე სანოვაგე დუქნის დაკეტვა, რის გამოც ახლო-მახლო მცხოვრებლები დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდნენო. ბ-ნმა ჯაბარმა განაცხადა, რომ, ქალაქის გამგეობის მიერ შეკრებილ ცნობების მიხედვით, აღნიშნული დუქნები სამხედრო მთავრობის განკარგულებით დაუკეტიათ, რადგან ამ დუქნებში ჯარისკაცები დადიოდნენ მაგარ სასმელებისათვის და ამასთანავე თავიანთ ნივთებსაც ჰყიდდნენ იქაო.

შემდეგ კრებამ დაამტკიცა გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ ქალაქის სასაკლაოზე მეტიკროსკოპედ ნამყოფს ქ-ნს ამალია კობახიძეს ერთდროული დახმარების სახით 300 მანეთი მიეცეს 20 წლის ნამსახურობისათვის.

ბოლოს კრებაზე ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საბჭოს იურიდიულ კომისიის დადგენილებამ გ. პ. პეტროვის საჩივრის გამო. საქმის გარემოება ასეთია: პეტროვს გამგეობისათვის შეუტყობინებია, რომ გ. ნ. კეილმა (საბჭოს ხმოსანია) საქალაქო ადგილო მიითვისაო (ზომით 3 საჟენამდე). გამგეობას გამოუძიებია პეტროვის საჩივარი და იმ აზრს დასდგომია, რომ პეტროვი მართალი არ არის; ბ. კეილს ეს ადგილი სასამართლოს წესით მოუგია ქალაქის გამგეობისგან მიცემულ საბუთის ძალით და მოწმეების ჩვენებით. მაგრამ იურიდიული კომისია არ დასთანხმებია გამგეობას და თხოულობს, რომ საჩივარი აღიძრას კეილის წინააღმდეგ.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ დადგენილ იქმნა, რომ საქმე ისევ იურიდიულ კომისიას დაუბრუნდეს განსახილველად და ეთხოვოს, რომ კომისიამ სრულის შემადგენლობით გადაათვალიეროს ეს საქმე და ადგილობრივი დათვალიერებაც მოახდინოს.

იძულებული ირონია

ინგლის-საფრანგეთის დელეგაცია რუსეთს ესტუმრა, რომ ადგილობრივ გასცნობოდა, თუ რას აკეთებდა რუსეთი, რომ ომი გამარჯვებით დაეგვირგვინებია და თუ რანაირი სულიერი განწყობილება მეფობდა პოლიტიკურ წრეებსა და ფართე საზოგადოებაში. რაც დელეგაციისთვის საინტერესო იყო, ეს სწორედ „ზურგის“ მუშაობა სამხედრო მასალების დამამზადებელი ქარხნების გუგუნი და სხვა და სხვა სამხედრო ორგანიზაციათა საქმიანობა უნდა ყოფილიყო. რუსეთიც საუკეთესო მასპინძლად მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა, როდესაც იგი ამ მხრივ დამაკმაყოფილებელ სურათს გადაუშლიდა, ამ ხიფათით სავსე დროში, ცხრა ზღვას იქითა მხარედან მოსულ სტუმრებს. მაგრამ რუსეთის პსიხოლოგია ისევ ძველი დარჩენილა; ახალ მოდის მასპინძლობას მან ისევ ძველებური მასპინძლობა არჩია და ხელში ჩაიგდო თუ არა ევროპიელ მოკავშირეთა ურეზერვოთ წამოსული დელეგაციის ავანგარდი, ლამის სული ამოხადოს ჭამა-სმის დაძალებით. ალყა შემორტყმულ დელეგაციას, რომელსაც ევროპიული ზრდილობა ნებას არ აძლევს სხვის მონასტერში თვის წესდებით შევიდეს და მასპინძლისას თავისი სურვილ-ბრძანება გააბატონოს, თავაზიანათ მიჰყვება, მთელი დღეები სუფრაზე ჯდომის მეტს ვერაფერს აკეთებს. ალბათ, ასეთ უსიამოვნო მდგომარეობიდან რომ თავი დაეხსნათ და გერმანეთის წყალქვეშა ნავებს სამშვიდობოთ გადარჩენილები რუსულ მაძღარ და მძიმე სუფრას რომ მსხვერპლად არ შესწიროდენ, დელეგაციის მეთაურს ლორდ გილნერს, მოსკოვიდან პეტროგრადს დაბრუნებისას, რუს-ინგლისელთა ბანკეტზე მორიდებით შემდეგი თავ დაცვის სიტყვა წარმოუთქვამ, რომელიც ასე დაუწყია: „—თქვენ მიირთვით ჩვენი დღეგრძელობისა და ჯანმრთელობისა. შეიძლება ინებოთ და მოისურვოთ ჩვენი ძვირფასი ჯანმრთელობის ანგარიშის გაგებაც? (სიცილია). უნდა ვსთქვა, რომ საოცრად მტკიცე ყოფილა ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა რა წარმოვიდგენ და გავითვალისწინებ, რომ ღვინებლად გადაურჩით მასპინძლების ქარიშხალსა და ქარბუქს, აქ რომ პირდაპირ გვაძგერეს. მაგალითად, მოსკოვში ერთ დღეს პირველ საათიდან ექვსის ნახევრამდე ვსაუზმობდით, ექვსიდან შვიდამდე ჩაის გიახლებოდით, რვიდან ღამის თორმეტამდე სადილს მივირთმევდით, ახალგაზრდობა კი, მგონი, დილის სამ საათამდეც შეექცეოდა. ჩვენი ფიზიკური გამძლეობა აწ დამტკიცებულია. იმედი ვიქონიოთ, რომ მორალურადაც ასე ბრწყინვალედ გადურჩებით ამ განსაცდელსო!“ სჩანს დიდათ გასჭირვებია მორიდებულ ინგლისელს, თავდაცვისთვის ამის თქმა რომ დასჭირებია. ჩვენც ვუსურვოთ ალბიონის შვილს შინ მორალურადაც და ფიზიკურადაც ჯანსაღი დაბრუნებულიყოს.

უჩა.

ავტოკეფალიის გარშემო

ამა წლის გაზეთ „საქართველოს“ მეორე ნომერში დაბეჭდილმა ჩემმა წერილმა „ყველამ ხმა ამოვიღოთ“ გურიის სამღვდელოება აალაპარაკა. მღვდელმა ნამა ე. ჩ. ჩ—ძემ გვამცნო, რომ 15 ქრისტეშობისთვეს ქ. ოზურგეთში არაჩვეულებრივი კრება მოხდარა. ამ კრებას დაუდგენია ჩვენი ეკლესია ავტოკეფალურ საფუძველზე მოწყობილ იქმნეს და ეს დადგენილება გაიგზავნოს სადაც ჯერ არს.

ასეთი განცხადება და დადგენილების გამოტანა ჩვენ სავსებით ვერ გვაკმაყოფილებს. ვერ გვაკმაყოფილებს მიტომ, რომ ყოველსავე დადგენილებას წინ უნდა მიუძღოდეს პრაქტიკული ნაბიჯი და სამწუხაროდ, ასეთ პრაქტიკულ ნაბიჯს გურიის სამღვდელოების მხრით ვერ ვხედამთ. გურია-სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტაცია რატომ გვერდში არ უდგია ქართლ-კახეთის და იმერეთის სამღვდელოების დეპუტაციას და იმათთან ერთად ჭაპანს არ ეწევა ავტოკეფალიის ასპარეზზე? იმერეთის სამღვდელოების დეპუტაციამ აგერ ერთის თვის განმავლობაში ორჯერ მოიარა ჩვენი დედა-ქალაქი თბილისი.

ამ საქმის დასაჩქარებლად და დასაგვირგვინებლად ფრიად საჭიროა გურია-სამეგრელოს სამღვდელოებამ ენერგიულად ხმა ამოიღოს, და დანარჩენი ქართველი სამღვდელოების მზგავსად დაუყოვნებლივ დეპუტაცია უნდა შეადგინოს და დანარჩენ დეპუტაციის წევრებთან ერთად უნდა იმუშაოს. სოხუმის ეპარქიის ქართველმა სამღვდელოებამ კი პრესის საშუალებით უნდა ამოიღოს ისე ხმა, როგორც ეს მამა ბესარიონ კაპანაძემ მოიმოქმედა. დეე, ერთხელ კიდევ გაიგოს რუსის ბიუროკრატიამ, რომ საქართველოში ერთი მღვდელიც არ არის ისეთი, რომ თავის მშობლიურ ეკლესიისათვის ავტოკეფალობა არ სურდეს.

მაშ, შევერთდეთ, ძმებო, და ყველამ ხმა ამოვიღოთ.

მ. ქ—ლი.

ომი და შემნახველი კასები

ომის დაწყებამდე რუსეთის შემნახველ კასებს თითქმის 75 წლის არსებობის ისტორია ჰქონდათ. ამ ხნის განმავლობაში რუსეთის შემნახველ კასების საქმიანობა, მართალია, თანდათან იზრდებოდა, მაგრამ მეტად მძიმედ და ზანტად მიდიოდა ზრდის პროცესი. 1913 წლის ბოლოსთვის ამ კასებში ფულად ძლივს ერთ მილიარდ ნახევარ მანეთზედ მეტი ინახებოდა, ხოლო პროცენტიანი ქაღალდებით 348 მილიონი მანეთი. ათი წლის განმავლობაში, 1904-ან 1913 წლამდე, ყოველწლიურად ფულად ერთი მეორეზედ 77 მილიონი მანეთი ემატება, და პროცენტებიან ქაღალდებით 12 მილიონი მანეთი. ფულის შემომტანთა რიცხვი 1913 წლის დასასრულს 9 მილიონ კაცამდე ადიოდა, პროცენტიან ქაღალდებისა—231 ათასამდე. ეხლახან გამოსულ შემნახველ კასების 1915 წლის ნგარიშის მიხედვით 1914 წლის 1 იანვრისათვის ყ ფილა ფულად შემოტანილი მთელ იმპერიის შემნახველ კასებში 1 მილიარდი და 685 მილიონი მანეთი, ხოლო 1916 წლის 1 იანვრისათვის 2 მილიარდი ღ 448 მილიონი მანეთი, ე. ი. ორი წლის განმავლობაში წინანდელ ჯამს 763 მილიონი მანეთი მიჰმატებია, ხოლო მარტო ერთი 1915 საანგარიშო წლის განმავლობაში მიმატებია 546 მილიონი, მაშინ როდესაც მთელი ათი წლის განმავლობაში 1904-ან 1913 წლამდე მხოლოდ 775 მილიონი მანეთი შემოუტანიათ. შემოტანილ პროცენტიან ქაღალდების ჯამი 1914 და 1915 წლების განმავლობაში 348 მილიონიდან 664 მილიონ მანეთამდე ასულა, ე. ი. ერთ ნახევარზე უფრო მეტად გადიდებულა.

ეკონომიური ცხოვრება

მეთამბაქოეთა სინდიკატი. მოსკოვში შესდგა ერთგვარი „ბლოკი“, რომელიც ამხედრებულია მეთამბაქოეთა სინდიკატის წინააღმდეგ, რომელიც დაარსდა პეტროგრადში ამ რამდენისამე წლის წინეთ „პეტროგრადის აქციონერულ და საექსპორტო საზოგადოების სახელით. ჰფიქრობენ, რომ სინდიკატის წინააღმდეგ ბრძოლას მთავრობაც თანაუგრძნობს.

—

იაპონიის დიდი ეკონომიური აყვავება ეტყობა. წარსულ წელს ამ სახელმწიფომ 1,127 მილიონი იენის საქონელი გაზიდა და 756 მილიონის შემოიტანა. გასულ წლის განმავლობაში დაარსდა 4 ათასი ახალი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება 116 მილიონის თანხით. სახელმწიფო სარგებლობს ფულის ასეთი მოჭარბებით და უშვებს სახელმწიფო სესხებს, რითაც გაჰყავს ახალი რკინის გზები და კორეასა და ფორმოზაზე საზოგადო სამუშაოებს აწყობს. ამ რიგად აღმოსავლეთში იზრდება ახალი ძლიერი სამრეწველო ქვეყანა. რომელიც სცდილობს წყნარ ოკეანეზე გაბატონებას.

—

ქუთაისის საურთიერთო სამეურნეო და სამრეწველო ბანკის წევრთა პირველი კრება შესდგა 29 იანვარს. კრებამ დაამტკიცა ბანკის ხარჯთ-აღრიცხვა 1917 წლისთვის. დიდი კამათი გამოუწვევია საკითხს იმის შესახებ, თუ რა დროს უნდა იყოს ბანკში მუშაობა:—დღისით, როგორც ყველა სხვა დაწესებულებებში, თუ საღამოობითო? საღამოობით მუშაობას, ნაცვლად დღისა, იმით ასაბუთებდენ, რომ ამ შემთხვევაში გამგეობის წევრებად შეიძლება ისეთი კაცების არჩევა, რომელთაც სხვა სამსახურიც აქვსთო. კრებამ არ შეიწყნარა ასეთი მოსაზრება და ბანკში მუშაობა დღისით დააწესა.

—

ტყვარჩელის ქვა-ნახშირი. ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში წინადადება შეიტანა, რათა გამოთხოვილ იქნეს უმაღლესი ბრძანება შესახებ ტყვარჩელის (სოხუმის ოლქ.) ქვა-ნახშირიან ადგილებისა, რომ კერძო პირებს ჩამოერთვას მათ მიერ აღებული მადნიანი მიწები, რადგან სამინისტროს აზრით, ამ პირებმა 15 წლის განმავლობაში ვერ გამოიყენეს თავის უფლებები და ნახშირის წარმოება ვერ დაიწყეს. ეს მიწები ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს გამგებლობაში უნდა გადავიდესო.

—

„კახეთის“ მეღვინეთა საზოგადოების წევრთა კრება შესდგა 4—5 თებერვალს ქ. თელავში. განხილული იქმნა მოსამსახურე პირებთან მომხდარი უთანხმოების საკითხი.

—

ბანკების დივიდენდი. წარსული წელი ბანკებისთვის უფრო მომგებიანი გამოდგა ვიდრე 1915 წელი. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ პეტროგრადის საერთაშორისო და აგრეთვე პეტროგრადის დამხურდავებელი და გამსესხებელი ბანკი აქციაზე 35 მან. მისცემენ, ნაცვლად 20 და 24 მანეთისა (1915 წელს). რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბანკის დივიდენდი იქნება 30-35 მან., პეტროგრადის კერძო კომერციული ბანკის—15 მან., შეერთებული ბანკის—1718 მან., რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის—30 მან., აზოვ-დონისა და ციმბირის ბანკები—არა ნაკლებ 40 მანეთისას, ვოლგა-კამის—არა ნაკლებ 55 მ. აქციაზე.

ქართველთათვის ღირს-შესანიშნავი დღე და ქუთათელნი

(წერილი ქუთაისიდან)

იანვრის 26, დიდებული და ღირსშესანიშნავი დღე არის ქართველ ერისათვის. ამ დღეს განუტევა საუკუნოთ სული დიდებულმა მეფემ დავით აღმაშენებელმა; ამ დღეს გამოეთხოვა საქართველოს მისი ერთგული შვილი გაბრიელ ეპისკოპოზი და ამავე დღეს დადუმდნენ ბაგენი, ამ ორი წლის წინეთ ჩვენის „უგვირგვინო მეფის“ აკაკისა. განგებამ, ქვეყნისათვის ასეთ თავდადებულ ადამიანების გარდაცვალებას, ვგონებ, განგებ მოუყარა ერთსა და იმავე დღეს თავი. ჩვენი დაკნინება-დაწვრილმანება ალბათ წინასწარ გაუთვალისწინებია გულთამხილველ უფალს და რომ სულ არ დავცემულიყავით ეროვნულად და არ დაგვიწყებოდა ჩვენი სამშობლოს წარსული ცხოვრება და მოამაგეთა ღვაწლი, ჩვენი დიდებული ადამიანები: დავით აღმაშენებელი, გაბრიელ ეპისკოპოზი და აკაკი ერთსა და იმავე რიცხვს მიიბარა ჩვენგან, თუმცა, რასაკვირველია, სხვა და სხვა დროს და ამით გაგვიადვილა ეროვნულ იდიალების შეგნება და მოამაგეთა ღვაწლის გახსენება.

მაგრამ, ჰოი უბედურებავ! ქართველი ერი, მეცხრამეტე საუკუნის უკულმა-ბრუნვამ ისეთ უფსკრულში გადაგვისროლა, რომ სულიან-ხორციანად შეგვცვალა და ეროვნული შეგნება დაგვავიწყებია. ამაში, ერთხელ კიდევ ზედმეტათ, წრევანდელმა, ჩვენის დიდებულ ადამიანების გარდაცვალების დღემ,—26 იანვარმა დაგვარწმუნა. ამ დღეს, დილით ადრიანად, დასავლეთ საქართველოს დედა-ქალაქის მკვიდრთ საკათედრო ტაძრის საგანგებოდ ზარების რეკამ აუწყა, რომ მღვდელმთავრის ღვთისმსახურება იქნება სამ რჩეულ ადამიანის მოსაგონებლად და სულის მოსახსენებლად. ვინ წარმოიდგენდა, რომ ქუთათელნი ამ რჩეულ ადამიანებში თუ სუყველას არ სცემდნენ პატივს, ერთ რომელსამეს მაინც არ გაიხსენებდა და მისდამი პატივსაცემლად მღვდელმთავრის ღვთის მსახურებას არ დაესწრებოდა! მე გეტყვით, და ასეთ სურვილსა და განძრახვას თბილი და მზიანი მაისის მზგავსი ამინდი ხელს არ უწყობდა!

მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! ქუთათურებს დიადი დღის,—26 იანვრის მნიშვნელობა ვერც საგანგებო ზარების რეკამ მოაგონა და ვერც მღვდელმთავრის მსახურებამ! საქალაქო ბაღი თითქმის სავსე იყო ხალხით. იქვე ბაღის გვერდით საკათედრო ტაძართან მკაფიოდ მოისმოდა წმიდა მეფის დავით აღმაშენებლის ხატის წინაშე შესრულებული სავედრებელი ლოცვის ხმა, გაბრიელისა და აკაკისათვის „სულთათანას“ გალობა, მაგრამ ტაძარში კი არავინ არ მიდიოდა. პირდაპირ მრცხვენოდა, როდესაც დეკანოზ ვასილ დოლაბერიძის შინაარსიან სიტყვას სულმნათი მეფის, დავით აღმაშენებელის, გაბრიელ და აკაკის შესახებ მარტო ოთხი თუ ხუთი მოხუცებული, ორიოდე ბავშვი და ამოდენივე რუსის დედაკაცები ისმენდნენ! ქართულ რედაქციების წარმომადგენელნი მაინც სად იყვნენ, ნეტავი ვიცოდეთ, რა საფუძვლით უნდა აღენიშნათ სამღვდელმთავრო ღვთის მსახურების შესრულება ამ დღეს თავიანთ გაზეთებში? ჩვენმა მცხოვანმა მღვდელ მთავარმა ყოვლად სამღვდელო გიორგიმ ეს დღე ღირსეულად აღნიშნა. გარნა ქუთათელები ხეივნიდან ვერაფერმა გამოიტყუილა: ვერც სამღვდელმთავრო ღვთის მსახურებამ, და ვერც ჩვენთა დიდებულ გარდაცვალებულთა ხსოვნამ. არ ვიცით, რითი უნდა იმართლონ თავი.

მ. ქუთათელი.

ღერილი ლეჩხუმიდან

…რომ დილა არ გვაღვიძებდეს ახალის სიამოვნებისათვის, ხოლო საღამო არარა იმედს გულში არ გვიტოვებდეს, ჩაცმა და გახდა ტანისამოსისა—შრომამადაც არ ეღირებოდაო,—

უთქვამს მეცნიერს.

ლეჩხუმის მაზრა, ბუნებრივის სიუხვით სრულიადაც უზრუნველმყოფელია ცხოვრებისა და არას მხრით ლეჩხუმის განვითარებას ხელს არ უშლის, რომლის დასადასტურებლათ ისიც საკმარისია, რომ თუმცა მიწის მუშა კვლავ ადამის დროის იარაღებით ჩიჩქნის ნიადაგს. მაგრამ წლიური სარჩო მაინც ადვილად მოჰყავს. იმ უილაჯობა-უიმედობისა და საყველურების მიზეზები, რომელსაც ლეჩხუმის ცხოვრების ამ მოკლე აღწერაში მკითხველი დაინახავს, რასაკვირველია, უნდა ვეძიოთ, საერთოთ ჩვენი სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების მოუწყობლობაში და ამ მხრით ლეჩხუმში ახალს ვერაფერს აღმოვაჩენთ… მაგრამ, საერთო პირობებს ქვეშ, სხვა მაზრებთან შედარებით, ლეჩხუმი ერთობ ჩამორჩა თანდათან ცხოვრებას და აი, სწორეთ ჩემი წერილს სადღეისო მიზანიც ის არის, რომ ლეჩხუმის გამონაკლისობას გავუსვა ხაზი, მისი გამომწვევი მიზეზები და ლეჩხუმში მომქმედი ჯგუფი, პირი, თუ მოხელე მიუდგომლად ვამხილო და ამ შემთხვევაში ჩემი პირადი ვისმესთან განწყობილება უყურადღებოდ დავსტოვო. არც ერთს ჭკუათამყოფელს ერთს წამსაც არ დაავიწყდება, რომ არ ვცხოვრობთ ისეთს პირობებში, სადაც შესაძლებელი არის თავისუფლად თვითგამორკვევა, განვითარება, ეროვნულად და კულტურულად აღორძინება და სიტყვით თუ ბეჭდვითი სიტყვით, დღიურ საჭირბოროტო კითხვებზე თავისუფლად სჯაბაასი… და, მაშასადამე, იძულებული ვართ, ჩვენც ამ პირობების შესაძლებლობას შევუფარდოთ ჩვენი მოქმედება… მაგრამ ამავე დროს ვალდებულნი ვართ ვეძიოთ, ვიმოქმედოთ ფართე ასპარეზის მოსაპოვებლად და „ვისმეს“ გულის მოსაგებად და პირადი კეთილდღეობისათვის არ შევავიწროვოთ ის ვიწრო ბილიკიც კი, რომელზე სვლა ისედაც გასაჭირია. რუსეთის სახელმწიფოს ბიუროკრატიულად განვითარება იქამდისაც მივიდა, რომ ერთს ხელმწიფებასა ქვეშე მცხოვრებნი ორ ბანაკად გაჰყო: „კეთილსაიმედო“ და „არაკეთილსაიმედოებად“. „კეთილსაიმედობის“ იერლაყი ერგო ყველა კუთხის ბრწყინვალე წოდებას, მსხვილ ვაჭარ-მრეწველთ, მემამულეებს და საერთოდ ცხოვრებით ლაღთ; ხოლო „არაკეთილსაიმედობის“ ვიწრო კალაპოტში მოემწყვრა „ინოროდცები“ და საერთოდ სახელმწიფოს დემოკრატიული უმრავლესობა.

პირველმა ხელთ იგდო ყოველი ძალა-უფლება და მას ნება აქვს ლეგალურად იმოქმედოს და იმსჯელოს; მისთვის ბჭენი ბიუროკრატიისანი ფართოდ ღია არიან, მას უჯერებენ, მას ანგარიშს უწევენ. ჩვენ სრულიადაც არა გვსურს, რომ უტოპიაში ამოვყოთ თავი, ჭეშმარიტებასა და სუცილებლობას ზურგი ვაქციოთ და ძალა-უფლებით აღჭურვილს წოდებასა თუ კლასს მოვსთხოვოთ სოციალიზმისა და დემოკრატიულ წეს-წყობილებისათვის ბრძოლა… მაგრამ ხანდახან ლიბერალურ „რამეებზე“ მათი სჯა-ბაასი მათივე ნაშენობლივი თვისებაა და ასეთი შემთხვევებით სარგებლობა ზედმეტი არ იქნება, ვინაიდან „ყვავს რომ კაკალი დაადგდებინო, ისიც კარგიაო“.

ზემოთ ხსენებული ძალა-უფლებით აღჭურვილი წოდება ლეჩხუმსაც ჰყავს; ეს არის მაზრის თავად-აზნაურობა. ჩვენ, როგორც ზემოთაც ვსთქვით, შორსა ვართ ისეთი მოსაზრებიდან, რომ ლეჩხუმის ბრწყინვალე წოდებას, თავისი წინამძღოლითურთ, მოვსთხოვოთ მემარცხენეობა… მაგრამ მაზრის გზა და ხიდზე, კულტურაზე, უწესრიგობაზე, ადმინისტრაციის უმოქმედობაზე, ბოროტ-მოქმედებაზე და საერთოთ მაზრის კეთილდღეობაზე ხმის ამაღლება, განა მათი იურიდიული და ზნეობრივი მოვალეობა არ არის? დიახ, ჩვენ ვამბობთ, რომ არის!.. მაგრამ იმასაც თამამდ ვიტყვით, რომ არც ერთი მაზრის თავად-აზნაურობა და წინამძღოლი ისე უმოქმედო და გულ-ხელდაკრეფილი არ არის, როგორიც ლეჩხუმის მაზრისა. განა, დღეს ცოტაა გასაკეთებელი? ადგილობრივ სასურსათო საქმის მოწყობა, ღარიბთა და ჯარის კაცთა ოჯახების დახმარება, საქველმოქმედო და საკულტურო ორგანიზაციების შექმნა, მაზრის გზებისა და ხიდებისათვის ზრუნვა, რომელიც ყველაზე მეტათ საჭიროა, და ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციებთან კავშირისა და დამოკიდებულების შექმნა. ოღონდაც რომ გასაკეთებელი ბევრია, მაგრამ, სამწუხაროთ მცირედის გამონაკლისით, მკეთებელი კი ნაკლებათაა ლეჩხუმის მაზრაში.

„სოფელი ვნახე უძღლო, შიგ გავიარე უჯხოო!“ ჩინებულად გამოიყენა ეს მცნება ლეჩხუმის მაზრის ადმინისტრაციამ. იგი ნათლად ხედავს, რომ მის უმოქმედობაზე და „მოღვაწეობა-

* * *

მაგაშიაც არ აგიხირდებით, ჯიბე რო ცარიელი ექნება, ტანისამოსიც არა სადარბაზო, მაშინ მეტი რა გზაა, თორემ მთელი ქართლის სტუდენტობა თბილისის სიცხეში ირთმევს სულს.

— ალბად იქ, თბილისში, მეტი სამუშაო ექნებათ,—იდეურ მისწრაფებას განიცდიან ცენტრისკენ.

— ჰო, დიაღ ცენტრისკენ… თქვენ, მგონი, მე პესიმისტი მიწოდეთ, ასეა თუ არა?!.. ჰო და თქვენ კიდე წმიდა წყალის ოპტიმისტი ბრძანებულხართ. ჩვენი სტუდენტობა, ჩემო ხელმწიფევ, იდეალურად სტკეპნის ორთავე პროსპექტს და მუშტაიდს,—ძალიან არიან გატაცებულნი ფილოსოფიურ საკითხებით, დიდად ცდილობენ შეავსონ სქესიური პრობლემა.

— ეგ რა უყოთ, თითო უპატიური კოვზი ყველა ოჯახში მოიძებნება. თქვენ, ჩემო ბატონო, ურწმუნო თომასაც კი გადააჭარბეთ, საშინელის ფერადებით გვიხატავთ ქართლის ცხოვრების სურათს…

— არც თომა და არც პეტრე და არც პავლე… არა და!… რომელ სტუდენტს დასვამთ სოფელში და ეტყვით: აი ყველაფერი შენს სამშობლოში აოხრებულია და ახლა თავში შენ იეცი, ჩვენი დანგრეული შენ ააშენეო… თავი შეიხლეო…

— არ გეთანხმებით… ხსნა მაგაშია და გადემოკრატიზებულ თავად-აზნაურობაში.

— „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, ხო ხედავთ ბოლოს და ბოლოს სიმართლის სასწორი ჩემკენ გადმოიხარა. ყოველივე ზემო ნათქვამი ვინ უნდა მოამგვაროს თუ არ ჩვენმა გაჭირვების ტალკვესმა, ისევ ჩვენმა მაღალმა წოდებამ, თავად-აზნაურობამ, ვით დაწესებულებამ, ხმის უფლებით აღჭურვილმა…

— „ხმა ერისა—ხმა ღვთისაო“! მშვიდობით, მშვიდობით…

მატარებელი დაიძრა, ხიდისთავს კიდეც გასცილდა.

ილ. ალხაზიშვილი.

P. S. მკითხველთან ბოდიშს ვიხდი, რომ ყველაფრის თქმა ვერ მოვასწარით.. მეც კი, სწორე მოგახსენოთ, გულ ნაკლულად დავრჩი. აშკარაა, ყველაფერი რკინის გზის (მატარებლის) ბრალია—არ დაგვაცალა ე გული მოგვეფხანა. მაგრამ არა უჭირს რა, ნათქვამია: „მთა მთას არ მოხვდება, კაცი კაცს კი ყოველთვისაო“… ამ ხელად ასე იყოს და ის ჩემი მობაასე მართლა და სულ ხო თბილისში არ იჯდება, ალბად კიდევ ჩავიგდებ ხელში სალაპარაკოთ. დანაკლისი მაშინ შევისრულოთ.

ი. ა.

ზე" ხმის გამცემი, მიმთითებელი და გამკრიტიკებელი არავინა ჰყავს და ამიტომაც დაიარება „უჯოხო" და არხეინადაც იძახის: „ლეჩხუმის მოსამსახურეები პენსიონერები ვართო". მართალია, ლეჩხუმის გარეშე და შინაური პირობები ვერასოდეს ვერ შექმნიან ყაჩაღობასა და ცარცვა-გლეჯას და ადმინისტრაცია ამ მხრით თითქმის თავისუფალია. მაგრამ, განა ადმინისტრაციის მოვალეობაში მარტო ოდენ ყაჩაღთა დევნა შედის? განა, ისეთ მოუწყობელ და მოუწესრიგებელ მაზრაში, როგორიც არის ლეჩხუმი, გასაკეთებელი და სავალდებულო არა აქვს რა ადმინისტრაციას? ბევრი, ძალიან ბევრი! მაგრამ **თუ შენი თავი შენვე არ გახლავს**, რას დაგიდევს „ოც რიცხვისანი" „ჩინოვნიკი"! ჩვენ, ლეჩხუმის დღევანდელ მესვეურების უმოქმედობაზე, მათ [illegible] და ამით შექმნილ არა სასურველ მოვლენებზე ბევრი რამ შეგვეძლო გვეთქვა, მაგრამ სიტყვა გაგვიგრძელდა და ამიტომ ამ წერილში მარტოოდენ ლეჩხუმის სადღეისო კითხვას შევეხებით.

ერთი მკვიდრთაგანი.

(შემდეგი იქნება)

საწყალი კაცი!..

(პასუხად X—ს).

„აზრის" მე-17-ტე ნომერში მოთავსებულია „პასუხად ბ-ნ Legatus", ხელმოწერილი X-ს მიერ.

ბ-ნი X-ი საზოგადოთ აღნიშნავს, რომ ქართული ენა უფლება აყრილიაო და დაცვა და საზოგადოებრივი გამოსარჩლება ესაჭიროებაო.

„მაგრამ, დასძენს ბ-ონი X-ი, ბ-ნი „ლეგატუსისებური" გამოსარჩლება და ქირისუფლება, ცოტა არ იყოს, უხერხულად და წინ დაუხედავად მიმაჩნია და სიმართლეს არ შეიცავსო".

ბ-ონს X-ს, უხერხულად და წინ დაუხედავათ მიაჩნია გამომჟღავნება სასწავლებლებში ქართული ენის დევნის ამბისა. ვინც ქართული ენის განვითარებას ხელს უწყობს, მას ვაქებთ და ვინც სდევნის, მასა ვგმობთ.

ბ-ნი X-ი ბრძანებს: „არ ვიცით, რა მოსაზრებით ასეთ დიდ იმედებს ამყარებს რ. ერისთავზე, თუ ის თავმჯდომარის ადგილს დაიჭერს ქალთა გამგეობის სამზრუნველო საბჭოშიო (გორში)".

ხელმეორეთ უნდა გაგიმეოროთ, ბატონო X-ო, რომ სამზრუნველო საბჭოში უნდა იყოს თ-დ.-აზნაურობის წარმომადგენელი და ამჟამად თ-დ რ. ერისთავი ბრძანდება და, თუ რაიმე იმედებს ვამყარებთ მასზედ, ალბათ საბუთი გვაქვს დ თ-დ ნ. თუმანიშვილს კი სამზრუნველო საბჭოში, როგორც წარმომადგენელს თ-დ-აზნაურობისას, ვერ შეუძლიან იყოს, ეს ყველამ კარგათ იცის.

მტკიცება იმისა, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემის ბრალია ქართული ენის უუფლებობა, რასაკვირველია, მართალია, მაგრამ რაც უფლება გვაქვს მინიჭებული, რომ ამითი არ სარგებლობენ სკოლების ზედამხედველნი და მისნი გამგენი, ესეც ყველასათვის ხშკარაა. ბ-ნი X-ი კი გადმომდგარა და ზაალოვების მფარველად და ქომაგად გამოდის.

„რაც შეეხება მასწავლებელ ხახუტაშვილის და უფროსის ურთიერთობას, ჩვენ ამის შესახებ არაფერს ვეტყვით, რადგანაც **დანამდვილებით არ ვიცით**,—განაგრძობს ბ-ნი X-ი. როცა არ იცით, არცა ვისიმე დამცველათ უნდა გამოხვიდეთ, თქვე დალოცვილო, და არც უნდა უარჰყოთ უტყუარი ფაქტები! ეს ყველა შეგნებულმა კაცმა უნდა იცოდეს.

ჩემი მოყვანილი ფაქტები ტყუილი არ არის და ამ ქვემორე ფაქტებს ზედ ვურთამ და ვასაბუთებ მათ მიერ გამეფებულ შეუწყნარებელ რეჟიმს მასწავლებლების და ქართულ ენის წინააღმდეგ.

მოისმინეთ საქალო გიმნაზიის უფროსის ზაალოვის შესახებ.

უფროსმა ზაალოვისამ მოწაფეების ამორჩევა და გადაკიდება იცოდა, ვისაც ამოიჩემებდა, უსათუოთ გიმნაზიიდან დაითხოვდა.

ამ სასწავლებლებში ხარაზის ქალი სწავლობს. ამოიჩემა გიმნაზიის უფროსმა ზაალოვისამ საწყალი ქალი და ერთხელ საპედაგოგო საბჭოს კრებაზედ ისეთ სიტყვებით დაუსურათებს მოწაფის ქცევას, რომ თითქმის ცუდი ყოფაქცევის ქალად გამოიყვანს. საპედაგოგო საბჭოს კრება ერთხმად დაადგენს, სასწავლებლიდან მოწაფის გამორიცხვას.

მასწავლებელმა ბერეჟიანმა გაიგო დანამდვილებით, რომ მოწაფე სრულობით მართალი იყო და მეორე საპედაგოგო საბჭოს კრებას დაუმტკიცა მოწაფის უდანაშაულობა. საბჭოს კრებამ დაადგინა, უკან მიიღოს მოწაფე.

ამ დადგენილობას ზაალოვისა წინ აღუდგა და საბჭოს კრებას განუცხადა: „Я или 3—а дочъ! ეხლავე მზრუნველს შევატყობინებო!" და საბჭოს კრებას გააფთრებული სტოვებს.

საპედაგოგო საბჭომ მაინც მოწაფე მიღებულად აღიარა.

ამის შემდეგ ბერეჟიანს გადაეკიდა და აიძულა თავი დაენებებინა სასწავლებლისათვის.

ამ ფაქტსაც, მგონი, სიცრუეთ გამოაცხადებთ, ბ-ნო X-ო!?

Legatus.

სხვა და სხვა ცნობა

განკარგულებათა ზღვა.

ბერლინის ვაჭართა ცენტრალი ორგანიზაცია გაზეთებში საქვეყნოდ ჰბეჭდავს შემდეგს განცხადებას:

„მთავრობის უწყებებში დაბეჭდილი კანონები და განკარგულებანი, ვაჭრობა-მრეწველობას რომ შეეხებიან, დღეს ათას ორასს აღემატება. ამ განკარგულებათ უპირატესთ, ყველას ერთად, ორი ათასი გვერდი დიდი ფორმატის. ამას გარდა უნდა ანგარიში გაეწიოს აგრეთვე ცალკე სამეფოთა, თემთა, საპოლიციო უწყებათა, სამხედრო უფროსთა თუ სხვა და სხვა სამხედრო კომიტეტის კანონებსა და განკარგულებებს. შეუძლებელია დაახლოვებითაც კი იმის გამოანგარიშება, თუ რამდენი კანონი და განკარგულებაა გამოცემული ამ ზევით ჩამოთვლილ მეორე ხარისხოვან ხელმწიფებათაგან. საშინელი და პირდაპირ კრიტიკული სინამდვილე შექმნა ამ აურაცხელ ბრძანებამა და აღკრძალვამ, რომელნიც ზედიზედ ერთი მეორეს სცვლიან და ავსებენ თუ აბათილებენ. ეს კრიტიკული სინამდვილე, რაც დღე გადის, უფრო და უფრო რთულდება. ვერც ერთი ჩვეულებრივი მომაკვდავი გზას ვერ გაიგნებს ამ იურიდიულ ნორმათა ზვინში. ამიტომაც ბერლინის ვაჭართა ცენტრალი ორგანიზაცია შუამდგომლობს საშინაო საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ გამოცემულ იქმნას ოფიციალი კრებული ამ განკარგულებათა. ორგანიზაცია თხოულობს, რომ ერთად შეიკრას და ცალკე რვეულად გამოიცეს ყოველი ცალკე დარგის შესახებ გამოცემული კანონები და განკარგულებანიო. ამ გზით ყოველი კერძო კაცი, სოფლის მეურნე თუ ვაჭარი შესძლებს გაეცნოს ყველა წესს, რომელიც განსაზღვრულ საკითხს ეხება და აწესრიგებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთის მხრით ამ განკარგულებათ უფრო და უფრო მეტი დარღვევა მოელის, ხოლო მეორეს მხრით მეტი გულგრილობა და უდარდელობა კანონის დარღვევის მიმართ იმათგან, ვისაც კანონისა და განკარგულების დაცვა და განმტკიცება მართებსო".

ბატი 200 მარკად.

ლიკის (აღმოსავლეთ პრუსიაშია) სისხლის სამართლის სასამართლომ მემამულე ავგუსტ ბილცერს ხუთი თვის ციხე მიუსაჯა. ბილცერის დანაშაული ის იყო, რომ მან ბერლინის ერთ-ერთ ფირმას წინადადება მისცა მისგან 9 კარგად გასუქებული ბატი ეყიდნა 1800 მარკად, ე. ი. თითო ბატი 200 მარკად (მარკა დღეს მანეთად ღირს).

—

ბერლინის სამეფო მუზეუმების გასათბობად რომ ხმარობენ, იმ ქვანახშირის დაბალ ღირსების გამო, ერთბაშად შემუქდა კაულბახის ძვირფასი ფრესკები, ეგრედ წოდებულ ახალ მუზეუმის ავანზალაში რომ არის გამოფენილი. რესტავრატორმა პროფესორმა ხაუზერმა ის აზრი გამოსთქვა, რომ საუკეთესო საშუალება სურათების გასაწმენდად იქნებოდა თეთრი პურით მათი გასუფთავებაო. მაგრამ, როდესაც გამოიანგარიშეს, თუ რამდენი პური დასჭირდებოდათ ფრესკების დასაწმენდათ, რომელთაც 500 კვადრატიულ მეტრზე მეტი ზედაპირი უჭირავთ, პირდაპირ შიშმა აიტანა: მთელი ბერლინი უნდა დამშეულიყო.

დაბა-სოფლები

ახალ-სენაკი. 9 იანვარს დაბა ახალ-სენაკში სენაკის მაზრის სამღვდელოების კრება მოხდა სასულიერო სასწავლებლის შენობაში. ამ კრებაზე უნდა განხილულიყო, თუ ვის უნდა მისცემოდა ის შესაწევნელი ფული (სამოწყალო), რომელიც სინოდმა გადადო ხელმოკლე სამღვდელოებისათვის. 8—9 საათზე მობრძანდა დეკანოზი მამა ა. კალანდარიშვილი, ავიდა კათედრაზე და შეუდგა **საქმეს**. თუმცა იქ დამსწრეთ განუცხადეს, მოითმინეთ, ჯერ კიდევ ადრეა, სამღვდელოება მოგვემატებაო (სულ 10—15 მღვდელი იყო მოსული), მაგრამ არ უსმინა, გამოაცხადა თავი თავმჯდომარედ და კრებას წინადადება მისცა თანასწორად გაენაწილებინათ ის ფული განურჩევლად სიღარიბისა და შემოსავლისა. ამაზედ კრებაზე დამსწრეთ უპასუხა: ფული უნდა განაწილდეს თანახმად სინოდის უქაზისაო; ჩვენში გვირევია ისეთი მღვდლები, რომლებიც ათასობით ღებულობენ: როგორც, მაგალითად, სამაზრო მეთვალყურე, კათედრის სამღვდელოება, დაბების კრებულები და ისინი, რომელნიც მასწავლებლობენ პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლებში და აგრეთვე ისინი, ვინც დღიურს ღებულობენო. ესენი ყველანი უნდა იქმნენ გამორიცხულნიო. ამის წინააღმდეგი გახდა თვით თავმჯდომარე და სამღვდელოებას დაემუქრა: ხომ იცით, მე აქაური ვარ, რა მენაღვლება, თქვენ კი უნდა იაროთ,კრება ახლაც გადიდება (ეს მეორე კრებაა) და იმ ფულს ამ სიძვირეში, გზაზედ შესჭამთო, იმის აღებასაც ვერ მოესწრებითო. სიტყვის ნებასაც არავის აძლევდა: გარეთ გაგაგდებთ, თუ არ დათანხმდებით, წადით და იჩივლეთო. ამნაირად, აიძულა სამღვდელოების ერთი ნაწილი დათანხმებულიყო თანასწორად განაწილებას; მეორე ნაწილმა კი—„პროტესტი" განაცხადა და საჩივარი გაგზავნა სადაც ჯერ არს. ეს ყოველივე დასრულდა 12 საათამდის, მომეტებული ნაწილი მღვდლებისა მერე მოვიდა, მაგრამ ვერას გახდნენ.

ასე დაირღვა სინოდის ბრძანება. არ შვენისთ ზემოხსენებულ სულიერ მამათ, რომ ულარიბეს მღვდლებს ჩამოაკლეს სამოწყალო ფული და თავიანთ დიდს ჯამაგირს მიუმატეს. მაგრამ თავს, უეჭველია, ამით იმართლებენ: „ვისაც აქვს მიეცეს და მიემატოს", და ვისაც არა აქვს, „რომელ იგი აქვს, მოეღოსო" და კიდეც მოუღეს. ასე შეასრულეს უფლის სიტყვები.

ამავე კრებაზე სამღვდელოებამ განაცხადა: შეუერთდენ ქართლ-კახეთ-იმერეთის კრებებზე წამოყენებულ მოთხოვნილებებს:—შესახებ ავტოკეფალიისა, ქართულ ბეჭდისა და საეკლესიო საბუთების ქართულად წარმოების შესახებ. მაგრამ მამა თავმჯდომარემ არც კი მოისმინა წინადადება: „ამის განხილვის ნება არ მაქვსო" (თუმცა ამისთანავე კრებაზე ოზურგეთის მაზრის სამღვდელოებამ, ამას წინათ დაადგინა: მხარი დაუჭიროს ქართლ-კახეთ-იმერეთის სამღვდელოებასო; სენაკისას-კი, ნ ება არ ჰქონია თურმე). ამის შემდეგ, სამღვდელოებამ განაცხადა: მოხსენდეს ეს ჩვენი სურვილი ყოვლად სამღვდელოს ლეონიდს და მომავალ საეპარქიო კრებაზე იქმნეს განხილულ, რომელიც 6 თებერვალს უნდა შესდგესო.

ერთი დამსწრეთაგანი.

—

ოზურგეთი. მეტის-მეტი სიძვირეა ჩვენში. გადაეკიდნენ ერთმანეთს ქალაქის ვაჭრები და სოფლის გამყიდველები; როგორც ერთი აძვირებს, ისე მეორე, და შუაში კი იჭყლიტება მყიდველი, მეტადრე საწყალი და გაჭირვებული. წინაზედ ავირჩიეთ თვითმმართველობაში ხმოსნები, რომელნიც გვპირდებოდნენ: აბა თუ გაგვათეთრებთ, მერმეთ ნურაფერის ნუ გეშინიანთ, სულ მაძღრები იქნებითო. მაგრამ დახეთ უბედურებას, არჩევის მერმე სულ დავმშივდით: აღარც პური, აღარც შაქარი, აღარც სიმინდი და აღარც სხვა რამევ. ასე თითქმის ორი თვე ვიყავით. ბოლოს ისევ ჩვენგნით გაშავებული დაფაცურდა და იმან პურიც იშოვნა და შაქარიც. ეხლა არ ვიცი, ვინა სჯობს ჩვენთვის ამ გაჭირვების დროში: გათეთრებული, თუ გაშავებული და გვაქვს კოოპერაცია, მაგრამ დიდი არც მას გაუკეთებია რამე. ან რა კოოპერაცია ჰქვია ისეთ კოოპერაციას, რომ მთელის წლის განმავლობაში ერთი ვაგონი სიმინდიც ვერ მოგვიტანოს. პური როცა ცხვება კორპერაციაში, იმის ყიდვაც ძნელია, აქ წევრები მეტ წილათ მუშა-ხალხი ვართ, პური გვინდა დროზე, მაგრამ დროზე კი არა, ექვს საათზე რომ მიხვალ, შეიძლება ცხრა საათზე მოგიწიოსთ სამი ან ხუთი გირ. პური. ვაი ამისთანა ჭამას! სამ გირვანქა პურისთვის სამი საათი უნდა გავჩერდე, ამ სიცივეში და მუშაობას რო მოვცდები, ის კიდევ ზედმეტი იქმნება.

ხ. დ—ძე.

ანგარიში

ქართულ საქველმოქმედო საზოგად. ოზურგეთის განყ. მიერ ტყვე ჯარისკაცთა სასარგებლოდ შეგროვილ შემოწირულებათა.

შემოვიდა: 1) ქ-ნ ლიზა ნაკაშიძე-ბოლქვაძისგან, შეგროვილი მის მიერ მიქელ-გაბრიელის საზოგ.-ში 35 მ. 70 კ.

2) ლად. ჩანჩიბაძისგან, შეგროვილი სად. ნატანებში—71 მ. 75 კ.

3) ამბ. მგელაძისაგან, შეგროვილი ბახვში—42 მან. 5 კ.

4) ვიქ. ცინცაძისაგან, შეგროვილი ხიდისთავში—3 მან.

5) სევერ. თავართქილაძისგან, შეგროვილი ნაგომარში—29 მ.

6) კირ. გიორგაძისაგან, შეგროვილი ლანჩხუთში—20 მ. 39 კ.

7) რუბ. ჩხაიძისგან, შეგროვილი ქ. ოზურგეთში—38 მ. 50 კ.

8) მიხ. საბაშვილისაგან, შეგროვილი ოზურგეთში—16 მ.

9) ანტ. მელივასაგან, შეგროვილი ძიმითში—17 მ. 85 კ.

10) ვლ. დათუნაიშვილისაგან, შეგროვილი აკეთში—50 მ.

11) ალ. ჭურაძისაგან, შეგროვილი ჩოხატაურში 35 მ. 33 კ.

12) მიხელ ქარცივაძის ხსოვნის აღსანიშნავად სიმ. ურუშაძის, სამს. ქამჟარაძის, ავია ხელაძისა და სხვებისაგან—20 მან.

13) თ-დ მიშა ნაკაშიძისგან შემოწირული 25 მან.

14) ძმ. ლომაძნებისგან—25 მან.

15) სოლ. არონიშიძისგან, შეგროვილი სად. შირაზლეში—7 მან.

16) მღ. ნესტ. კონტ. კონტრიძისა და სამს. თაყაიშვილისაგან, შეგროვილი ლიხაურში—38 მ. 40 კ. სულ 474 მ. 97 კ.

ყველა ამ პირთ, რომელთაც გასწიეს შრომა და შეკრიბეს ფული და აგრეთვე შემომწირველთაც განყოფილების გამგეობა უცხადებს ულრმესს მადლობას.

პატივისცემით ქართულ საქ. საზ. ოზურგეთის განყ. თავმჯდომარე

დიმ. ერისთავი.

მდივანი **მიხ. საბაშვილი.**

შემოწირულება

გამოუწერეს ოზურგეთის კერძო ქალთა სასწავლებელს ერთის წლით:

ნინო ნაკაშიძემ ჟურ. „ნაკადული", ალექსანდრა თალაკვაძემ „ჯეჯილი", ლიდა ცინცაძემ „Свободное воспитаніе", ვალიდა თალაკვაძემ—„განათლება", თეკლე გრიაზნოვისამ—„თანამედროვე აზრი", ილარიონ ლომაძემ—„Путеводный огонекъ, ვიქტორ შარაშანიძემ—„სასოფლო გაზეთი".

ფულად შემოსწირეს იმავე სასწავლებელს:

ოტია ურუშაძემ 50 მან., თ. ცხომელიძემ 10 მან., ხუთ-ხუთი მანეთი: ა. თიკანაძისამ, მ. კალანდარიშვილისამ და კ. ყიფშიძისამ; სამ-სამი მანეთი: რაისა თოხაძისამ, ნად. თაყაიშვილმა, და ლოლა ქიქოძემ. სულ 34 მან.

ყველა შემომწირველთ ულრმეს მადლობას მოვახსენებთ.

სასწავლებლის დამაარსებელნი

ან. მგელაძე, ყიფო ორაგველიძე.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.08	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3,20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ	№ 4,	8 „	58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

საყმაწვილო მოთხრობები
ეკ. გაბაშვილისა
გამოვიდა და იყიდება
წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. წიგნის მაღაზიაში.
(5—553—3)

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.
საყმაწვილო სახატებიან ჟურნალზე
ოცდა-მერვე წელიწადი „ჯეჯილი" ოცდა-მერვე წელიწადი
ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ.

გამოვა 1917 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის. ჟურნალი „ჯეჯილი" თბილისში ღირს 4 მ., ქალაქ გარედ (გადზავნით) 5 მ., ნახევარი წლ. 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ. რედაქციაში იყიდება ყველა 27 წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები. ფასი რედაქციას არ მოუმატებია. ხელის მოწერა მიიღება თბილისში—რედაქციაში (არტილერიის ქ. № 5).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Ред. Груз. дѣтскаго журнала „Джеджили"
რედაქტორ-გამომცემელი ანასტ. თუმანიშვილი-წერეთლისა.

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი
განათლება
(წელიწადი მეათე)

ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულ ოჯახებს და სკოლებში წესიერად სწავლა-აღზრდის საქმის როიგენულ ნიადაგზე. „განათლება" აწვდის მკითხველებს წერილებს, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე [illegible]. ჟურნალი გამოდის [illegible] ყოველ თვე [illegible]. ჟურნალის ჩვეულებრივ განყოფილებებს, სადაც დაიბეჭდება [illegible] ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მის განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის" რედაქციაში, წერა-კითხვის საზოგ. წიგნის მაღაზიაში ვ. ავალიშვილთან, „Новая рѣчь"-ის წიგნის მაღაზიაში კიკნაძესთან და „განათლების" კანტორაში, ოლღის ქ. № 6. წლიური ჟურნალი გაგზავნით ღირს 5 მან., თბილისში ხელისმომწერთათვის 4 მან., სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სასახლო სამკითხველოებს, სახალხო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, მოწაფეებს ფარქი დაეთმობათ 3 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი ჟურნალისა ღირს 50 კაპ.
მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.
რედაქტორ-გამომცემელი ლ. ბ. ბოცვაძე.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარ სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საფერ სახ. „ლ. მილლიონ-ფიში, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მალოსოლ" ხიზილალა. მიიღება საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, [illegible] და ლოჟი, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინები რუსული და სხვადასხვა ფირმისა ხანგრძლივ ინახება.

სუსუნატიტ (ტრიპერი)
ავადმყოფებს,
რომელთაც მრავალჯერ განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ სამუდამოდ განთავისუფლდნენ მისგან, აგრეთვე შეიძინონ ცნობილ საშუალებას „ურიტალ", რომელიც სულ ცოტა ხანში არჩენს გაჯანსაღებულ და ქრონიკულ ხუხუნებს საშარდე ბუშტისას, ჭაპანების და სხ.

რატომ
ზოგიერთ ავადმყოფებს ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მალე ტანში ერეცდება

იმიტომ რომ
ჯერ ერთი დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.
მეორედ იმიტომ, რომ მარილის მძლავრ ნამდვილი, რადიკალური საშუალების გამოხმაურება,
მაგრამ ყველა ავადმყოფებს, ქალი იქნება თუ ვაჟი, რაც უნდა შეიძინოს საშუალება „ურიტალი", [illegible] ექიმი ეხლა სინჯავს და [illegible] ლებას, აგრეთვე პროფესორებისამ, დამტკიცდა რომ

ურიტალი
ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთელი კურსი ღირება 25 მან.

უფასოდ
გაეგზავნება ფოსტით დაწვრილებითი ბროშურა რუსულ ენაზედ, ვინც 10 კაპ. მარკას გამოგზავნის. შეკვეთა და ცნობებისათვის მიმართეთ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას. თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, სახ. 6—1. სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.

За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1, напротивъ Государственнаго Банка.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება" ა. ჯანიძისა, გამყრელიძის შესახვევი № 4